



საქართველოს კონკუჩხებისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

**ნორმალური ღირებულების განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ
ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავების განხილვის ორგანოს
პრაქტიკის სახელმძღვანელო დოკუმენტი**

თბილისი

2025

სარჩევი

შესავალი	3
თავი I. პირობითი ნორმალური ღირებულების განსაზღვრის პრაქტიკასთან დაკავშირებული პრინციპები	4
DS473 - European Union - Anti-Dumping Measures on Biodiesel from Argentina	5
DS493 - Ukraine - Anti-Dumping Measures on Ammonium Nitrate	7
DS488 - United States - Anti-Dumping Measures on Certain Oil Country Tubular Goods from Korea	9
DS529 -Australia - Anti-Dumping Measures on A4 Copy Paper from Indonesia	12
DS454 / DS460 - China - HP-SSST (Japan) / China – HP-SSST (EU)	14
თავი II. არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ნორმალური ღირებულების დადგენის პრინციპები	16
DS397 - European Communities - Definitive Anti-Dumping Measures on Certain Iron or Steel Fasteners from China	17
DS405 - European Union — Anti-Dumping Measures on Certain Footwear from China	19
DS471 - United States - Certain Methodologies and their Application to Anti-Dumping Proceedings Involving China	21
თავი III. ინფორმაციის სანდოობისა და მტკიცებულებების საკმარისობის კრიტერიუმები	23
DS156 - Guatemala - Definitive Anti-Dumping Measure on Grey Portland Cement from Mexico	24
DS219 - European Communities — Anti-Dumping Duties on Malleable Cast Iron Tube or Pipe Fittings from Brazil	26
DS184 - United States — Anti-Dumping Measures on Certain Hot-Rolled Steel Products from Japan	28
DS295 – Mexico - Definitive Anti-Dumping Measures on Rice	31
დასკვნა	32

შესავალი

დემპინგური იმპორტისგან ადგილობრივი ინდუსტრიის დაცვის მიზნით, 2021 წლიდან საქართველოში მოქმედებს ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღების სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) ანტიდემპინგური შეთანხმებით გათვალისწინებული ნორმების საფუძველზეა შემუშავებული.

ანტიდემპინგური პოლიტიკის აღსრულების პროცესში საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო პასუხისმგებელია ანტიდემპინგური შესწავლის წარმოებასა და მთავრობის ადმინისტრაციისათვის ანტიდემპინგური ზომების მიზანშეწონილობაზე დასკვნის წარდგენაზე. ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით განსახორციელებელი შესწავლა კომპლექსური პროცესია და მოიცავს სამი ძირითადი ელემენტის დადგენას - უშუალოდ დემპინგური იმპორტის, ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანისა და დემპინგურ იმპორტსა და ინდუსტრიის ზიანს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის ანალიზს. თავის მხრივ, დემპინგური იმპორტის დადგენა გულისხმობს იმის განსაზღვრას, ახორციელებს თუ არა ექსპორტიორი კომპანია პროდუქციის გაყიდვას საქართველოში, ექსპორტიორი ქვეყნის ბაზარზე არსებულ ნორმალურ ღირებულებაზე დაბალ ფასად.

საკანონმდებლო ჩარჩოს ამოქმედების შემდეგ სააგენტოში დაგროვილი გამოცდილებისა და განხორციელებული შესწავლების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთ აქტუალურ და მნიშვნელოვან მიმართულებას ნორმალური ღირებულების განსაზღვრა წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტის მიზანია, საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, ნორმალური ღირებულების დადგენასთან დაკავშირებული მიდგომების ანალიზი.

ნორმალური ღირებულება

ექსპორტიორ ქვეყანაში ადგილობრივი მოხმარებისთვის განკუთვნილი მსგავსი პროდუქტის ფასი ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში.

ალტერნატიული მეთოდის გამოყენების საფუძველი

ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზარზე მსგავსი პროდუქტი არ იყიდება ან არასაკმარისი მოცულობით იყიდება.

ექსპორტიორი ქვეყნის ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობის გამო მსგავსი პროდუქტის გაყიდვები სწორი შედარების საშუალებას არ იძლევა.

ნორმალური ღირებულების დადგენის ალტერნატიული მეთოდები

პირობითი ნორმალური ღირებულება - წარმოშობის ქვეყანაში წარმოების ხარჯებს დამატებული გაყიდვების, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები და მოგება.

წარმოშობის ქვეყნიდან შესაბამის მესამე ქვეყანაში ექსპორტირებული მსგავსი პროდუქტის ფასი.

არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის შემთხვევაში, შესაბამისი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის ნორმალური ღირებულება.

ნორმალური ღირებულების განსაზღვრა წარმოადგენს ანტიდემპინგური შესწავლის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს, რომელიც ადგენს, არის თუ არა კონკრეტული პროდუქტის იმპორტი დემპინგური და შესაბამისად ექვემდებარება თუ არა ანტიდემპინგურ ღონისძიებებს.

საერთაშორისო დონეზე, ანტიდემპინგური ღონისძიებები რეგულირდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) ანტიდემპინგური შეთანხმებით (Agreement on Implementation of Article VI of the General Agreement on Tariffs and Trade 1994). აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც აწესებს, როგორც დემპინგის დადგენის კრიტერიუმებს (მათ შორის ნორმალური ღირებულების და ექსპორტის ფასის შედარებას), ასევე ზიანის არსებობის დადასტურებისა და შესწავლის პროცესის მართვის პრინციპებს. ანტიდემპინგური შესწავლის პროცესში, ნორმალური ღირებულების განსაზღვრის მიმართულებით არსებული პრაქტიკის შესწავლის ძირითადი მიზანია, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და დავების გადაწყვეტის პრაქტიკის გათვალისწინებით, იმ წესების, სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების გამოყენების წახალისება, რომლებიც უზრუნველყოფს შესწავლის სამართლიანობას, გამჭვირვალობასა და შესაბამისობას WTO-ს პრინციპებთან. ასევე, დოკუმენტი მიზნად ისახავს დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებას ნორმალური ღირებულების განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით.

დოკუმენტში განხილული პრაქტიკა მხოლოდ საინფორმაციო და ანალიტიკური ხასიათისაა და არ ზღუდავს შესწავლის ორგანოს მიერ კანონით მინიჭებულ დისკრეციას კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, განსხვავებულად განმარტოს ქართული კანონმდებლობა.

დოკუმენტში WTO-ს ანტიდემპინგური დავების გადაწყვეტის ორგანოს პრაქტიკის საფუძველზე წარმოდგენილია ანტიდემპინგური შესწავლის ფარგლებში ნორმალური ღირებულების განსაზღვრის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების ანალიზი. მასში განხილულია WTO-ს სამართალში დადგენილი ძირითადი მეთოდოლოგიები პირობითი ნორმალური ღირებულების, არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისა და ინფორმაციის სანდოობის შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

თავი I. პირობითი ნორმალური ღირებულების განსაზღვრის პრაქტიკასთან დაკავშირებული პრინციპები

ანტიდემპინგური შესწავლისას ნორმალური ღირებულების დადგენის ძირითად პრინციპს წარმოადგენს ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზარზე მსგავსი პროდუქტის ფასის გამოყენება. თუმცა, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია აღიარებს გარემოებებს, როდესაც ასეთი შედარება შეუძლებელია ან არაპრაქტიკულია. სწორედ ასეთ შემთხვევებში დასაშვებია ალტერნატიული მეთოდის გამოყენება, მაგრამ მხოლოდ გარკვეული სამართლებრივი წინაპირობების დაკმაყოფილების შემდეგ.

WTO-ს ანტიდემპინგური შეთანხმების (ADA) მუხლი 2.2-ის მიხედვით, თუ ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზარზე პროდუქტის გაყიდვები არ ხორციელდება ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში, მათი მოცულობა არ არის საკმარისი, ან არსებობს ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობა (Particular Market Situation – PMS), მაშინ ნებადართულია ნორმალური ღირებულების განსაზღვრა შემდეგი გზებით: (1) მსგავს პროდუქტიაზე მოქმედი ფასი ექსპორტისას მესამე ქვეყანაში (თუკი ის ფასები წარმომადგენლობითია); ან (2) პირობითი ნორმალური ღირებულების მეთოდით, რაც გულისხმობს წარმოების

ხარჯებს, დამატებული გონივრული ოდენობით ადმინისტრაციული, გაყიდვების, ზოგადი ხარჯები და მოგება.

ალტერნატიული მეთოდის გამოყენებისათვის, საჭიროა ობიექტური დასაბუთება იმისა, რომ შიდა ბაზრის ფასები არ იძლევა შესაბამისი შედარების საფუძველს. ეს შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ პროდუქტი არ იყიდება შიდა ბაზარზე ან გაყიდვების მოცულობა ძალიან დაბალია. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, თუ მსგავსი პროდუქტის შიდა გაყიდვები შეადგენს ექსპორტის რაოდენობის 5%-ზე ნაკლებს, მაშინ ეს მოცულობა შეიძლება ჩაითვალოს არასაკმარისად, აღნიშნული აღიარებულია როგორც საერთაშორისო სტანდარტებით, ასევე ეროვნული კანონმდებლობით.

საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს კანონის მე-7 მუხლი და საქართველოს მთავრობის №249 დადგენილების „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში „წესი“) მე-12 მუხლის მიხედვით, ნორმალური ღირებულება, როგორც წესი, განისაზღვრება ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზარზე არსებული ფასის საფუძველზე. თუმცა, თუ აღნიშნული ფასები არ ასახავს ბაზრის რეალურ მდგომარეობას ან მათი მოცულობა არ არის საკმარისი, მაშინ დასაშვებია ალტერნატიული მეთოდის გამოყენება, მათ შორის პირობითი ღირებულების გამოთვლა.

WTO-ს ანტიდემპინგური დავების განხილვის პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ასეთი პირობითი მეთოდის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც შეუსაბამოა შიდა ფასებსა და საბაზრო პირობებს შორის მკაფიოდ დასაბუთებულია. ამავდროულად, შესწავლის ორგანო ვალდებულია თითოეული ექსპორტიორის მონაცემები შეაფასოს ინდივიდუალურად და არ გამოიყენოს პირობითი მეთოდი ზოგადი ან შაბლონური არგუმენტაციის საფუძველზე, რადგან ეს არღვევს ობიექტურობისა და მეთოდოლოგიური სისტემურობის პრინციპებს.

DS473 - European Union - Anti-Dumping Measures on Biodiesel from Argentina

ფაქტობრივი გარემოებები და ნორმალური ღირებულების დადგენის მეთოდოლოგია

2013 წლის 27 ნოემბერს ევროკავშირმა დააწესა ანტიდემპინგური ტარიფი არგენტინიდან იმპორტირებულ ბიოდიზელზე. ანტიდემპინგური შესწავლის პროცესში ევროკომისიამ არგენტინის შიდა ბაზარზე ბიოდიზელის წარმოებისთვის საჭირო ძირითადი ნედლეულის - სოიოს ფასი ხელოვნურად შემცირებულად მიიჩნია. სოიოს დაბალი ფასი გამოწვეული იყო დიფერენცირებული საექსპორტო გადასახადების (DET) სისტემით, რომელიც არგენტინის მთავრობამ დანერგა ადგილობრივი გადამამუშავებელი სექტორის მხარდაჭერის მიზნით. კომისიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ხარჯები არ ეფუძნებოდა რეალურ საბაზრო დინამიკას, რის საფუძველზეც გამოირიცხა მათი გამოყენება ნორმალური ღირებულების განსაზღვრისას. შედეგად, ნორმალური ღირებულება განისაზღვრა პირობითი ნორმალური ღირებულების საფუძველზე, კერძოდ პროდუქტის მესამე ქვეყნების საექსპორტო (FOB) ფასების საფუძველზე, როგორც ალტერნატივა ე.წ. დამახინჯებული ღირებულებისა.

მხარეთა პოზიციები

არგენტინა მიიჩნევდა, რომ ევროკავშირის გადაწყვეტილება არღვევდა ანტიდემპინგური შეთანხმების 2.2 და 2.2.1.1 მუხლებს, რადგან არ იქნა გათვალისწინებული ადგილობრივი მწარმოებლების მიერ წარმოდგენილი რეალური ხარჯები, რომლებიც ასახული იყო საერთაშორისოდ აღიარებულ საბუღალტრო

პრინციპებზე (GAAP) დაფუძნებულ კომერციულ ჩანაწერებში და მოქმედებდა ჩვეულებრივ სავაჭრო პირობებში. მათი შეფასებით, ის ფაქტი, რომ შიდა ფასებზე გავლენა მოახდინა სახელმწიფოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ (DET სისტემა), არ წარმოადგენდა საკმარის სამართლებრივ საფუძველს ამ ფასების უგულებელყოფისთვის. ამასთანავე, არგენტინა ეწინააღმდეგებოდა კომისიის გადაწყვეტილებას, შიდა ფასების დამახინჯების არგუმენტის საფუძველზე, მესამე ქვეყნის ბაზრის (ბრაზილიისა და აშშ-ის) FOB ფასებზე დაყრდნობით პირობითი ნორმალური ღირებულების გამოთვლასთან დაკავშირებით. არგენტინის მიხედვით, აღნიშნული მიდგომა არღვევდა არა მხოლოდ ADA-ის შესაბამის დებულებებს, არამედ ანტიდამპინგური პროცესის სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებსაც.

თავის მხრივ, **ევროკავშირი** ამტკიცებდა, რომ არგენტინაში არსებული დიფერენცირებული საექსპორტო გადასახადების სისტემა (DET) საგრძნობლად ზღუდავდა სოიოსა და სოიოს ზეთის ექსპორტს, რის შედეგადაც, ძირითად ნედლეულზე შიდა ფასი ხელოვნურად დაბალი იყო. ევროკავშირის პოზიციით, ასეთ ეკონომიკურ პირობებში მიღებული მონაცემები არ წარმოადგენდა პროდუქტის რეალურ საბაზრო ღირებულებას და კონკურენტულ ბაზარზე არსებული ფასისგან განსხვავდებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ფასის გამოყენება ვერ უზრუნველყოფდა სამართლიან და ზუსტ შედარებას. შესაბამისად, კომისია დაეყრდნო სოიოს საერთაშორისო (FOB) ფასებს, რაც მათ მიერ განიხილებოდა, როგორც არასანდო ფასის გონივრული ალტერნატივა.

ევროკავშირის მიდგომა ეფუძნებოდა იმ დოქტრინას, რომლის თანახმადაც დასაშვებია სხვა ქვეყნის ან გლობალური ბაზრის ფასების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცებულია, რომ მწარმოებლის ჩანაწერებში წარმოდგენილი ხარჯები არ ასახავს გონივრულად რეალურ ღირებულებას, როგორც ამას ითხოვს ანტიდამპინგური შეთანხმების 2.2.1.1 მუხლი. ამ მუხლის ინტერპრეტაციით, შესწავლის ორგანომ მიმართა ხარჯებთან გონივრული შესაბამისობის შეფასებას (reasonably reflect the costs), რაც გულისხმობს არა მხოლოდ ბუღალტრული სიზუსტის ფორმალურ შემოწმებას, არამედ ეკონომიკური რეალობის ანალიზს, მათ შორის, ბაზარზე კონკურენციის, ფასების წარმომავლობისა და სახელმწიფოს ჩარევის ხარისხის გათვალისწინებით.

WTO-ს პანელისა და სააპელაციო ორგანოს პოზიცია

პანელის და სააპელაციო ორგანოს დასკვნით, ევროკავშირის შესწავლის ორგანომ დაარღვია მუხლი 2.2.1.1, რადგან არ გამოიყენა არგენტინელი მწარმოებლების ჩანაწერები სოიოს ხარჯების დასადგენად. პანელმა აღნიშნა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ არგენტინის ექსპორტის გადასახადები იწვევდნენ შიდა ფასების შემცირებას, არ წარმოადგენს სამართლებრივად საკმარის არგუმენტს, თუ არ დადასტურდა, რომ კომერციული ჩანაწერები არღვევს GAAP (Generally Accepted Accounting Principles) სტანდარტებს ან არ ასახავს რეალურ ხარჯებს. სააპელაციო ორგანომ ხაზგასმით განმარტა, რომ შესწავლის ორგანოს არ აქვს უფლება ააგოს ჰიპოთეტური ბაზრის მოდელი, რომელშიც სახელმწიფო ჩარევა არ არსებობდა, არამედ მას მართებს შეაფასოს არსებული ბაზარი ისეთი, როგორიც რეალურად არის.

სააპელაციო ორგანომ განმარტა, რომ 2.2.1.1 მუხლში განსაზღვრული ტერმინი „ხარჯების გონივრულად ასახვა“ (reasonably reflect the costs) არ გულისხმობს ეკონომიკური პოლიტიკის ზოგად ანალიზს ან შიდა ფასების შედარებას საერთაშორისო ფასებთან. ტერმინის შინაარსი შემოიფარგლება იმით, ასახავს თუ არა მწარმოებლის ბუღალტრული ჩანაწერები ფაქტობრივად გაწეულ რეალურ ხარჯებს.

სააპელაციო ორგანომ დაადგინა, რომ ევროკავშირის მიერ გამოყენებული საერთაშორისო FOB ფასი არ ასახავდა ხარჯებს „წარმოშობის ქვეყანაში“. შესაბამისად, ევროკავშირის მიდგომა იყო შეუსაბამო მუხლ 2.2-სა და GATT VI:1(b)(ii)-მუხლთან, რომლის თანახმადაც შიდა ბაზარზე შესაბამისი ფასის არ არსებობის შემთხვევაში ნორმალური ღირებულება „შესაძლებელია დადგინდეს წარმოების ღირებულების მიხედვით, თუმცა ამ პროცესში აუცილებელია წარმოების ქვეყნის ეკონომიკური პირობებისა და წარმოების ხარჯების გათვალისწინება.

დავის შეფასება და სამართლებრივი მნიშვნელობა

განხილული საქმე ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ჩარევა ბაზარზე თავისთავად არ აძლევს შესწავლის ორგანოს უფლებას, უარი თქვას შიდა ღირებულებაზე და მიმართოს ალტერნატიულ მეთოდებს. ფაქტობრივ ხარჯებთან გონივრული შესაბამისობის შეფასება (reasonably reflect the costs), მოითხოვს კონკრეტულ მტკიცებულებას იმის თაობაზე, რომ წარმოების ხარჯები ვერ ასახავს რეალურ ეკონომიკურ პირობებს. აღნიშნული გადაწყვეტილება ამყარებს მნიშვნელოვან პრინციპს, რომ პირობითი ნორმალური ღირებულების გამოყენება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შიდა ფასები არ არის ხელმისაწვდომი ან არ ასახავს რეალურად გაწეულ დანახარჯებს, და არ უნდა დაეფუძნოს ჰიპოთეტური, სახელმწიფოს ჩარევით დაუზიანებელი ბაზრის წარმოდგენას. განხილული საქმის პარალელურად შეგვიძლია ვახსენოთ **DS480 EU – Biodiesel (Indonesia)**, სადაც პანელმა აღნიშნა, რომ ნორმალური ღირებულების დასადგენად პირობითი მეთოდის გამოყენების მიზნით ხარჯების განსაზღვრისას, EU კომისიამ ინდონეზიის წინააღმდეგ შესწავლაში გამოიყენა იგივე მეთოდი, რაც არგენტინის წინააღმდეგ შესწავლაში, რომელიც განხილულ იქნა **DS473 EU – Biodiesel (Argentina)** დავაში. პანელმა ხაზი გაუსვა, რომ DS473-ის მსგავსად, ევროკომისიამ DS480-ს საქმეშიც უარი თქვა ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ხარჯების გამოყენებაზე მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ისინი დამახინჯებული იყო სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის, კერძოდ, ექსპორტის შეზღუდვების გამო. ეს მიდგომა პანელის შეფასებით არ იყო საკმარისი მტკიცებულება იმისთვის, რომ უარი ეთქვათ ექსპორტიორი მწარმოებლის ანგარიშგების წესით დადგენილ ხარჯებზე.

DS493 - Ukraine - Anti-Dumping Measures on Ammonium Nitrate

ფაქტობრივი გარემოებები და ნორმალური ღირებულების დადგენის მეთოდოლოგია

2014 წელს უკრაინის ეკონომიკური განვითარების და ვაჭრობის სამინისტრომ (MEDT) დაიწყო ანტიდემპინგური ღონისძიებების გადახედვა, რომელიც თავდაპირველად 2008 წელს იყო დაწესებული რუსული ექსპორტიორი კომპანიების წინააღმდეგ. შესწავლის პროცესში უკრაინულმა ორგანომ არ გაითვალისწინა ექსპორტიორი კომპანიების მიერ წარმოდგენილი ბუნებრივი გაზის ღირებულება და ნორმალური ღირებულება განსაზღვრა პირობითი მეთოდით, კერძოდ, რუსეთიდან გერმანიის საზღვრამდე ექსპორტირებული გაზის ფასის გამოყენებით. ამრიგად, WTO-ში საქმის განხილვა შეეხო ალტერნატიული ფასით ბუნებრივი გაზის ღირებულების ჩანაცვლების საკითხს;

მხარეთა პოზიციები

რუსეთის ფედერაცია ამტკიცებდა, რომ უკრაინის შესწავლის ორგანომ უსაფუძვლოდ უარყო რუსი მწარმოებლების მიერ წარმოდგენილი ბუღალტრული ჩანაწერები ბუნებრივი გაზის თვითღირებულების შესახებ. რუსული მხარის განცხადებით, ეს ჩანაწერები სრულად შეესაბამებოდა საერთაშორისო საბუღალტრო პრინციპებს (GAAP) და ზუსტად

ასახავდა რეალურ საწარმოო ხარჯებს, რაც მათ, WTO-ს ანტიდემპინგური შეთანხმების 2.2.1.1 მუხლის მიხედვით, სანდო პირველწყაროდ აქცევდა ნორმალური ღირებულების განსაზღვრად. რუსეთის არგუმენტი ემყარებოდა იმავე პრინციპს, რაც ადრე განიმარტა საქმეში EU – Biodiesel (Argentina) (DS473), სადაც დადგინდა, რომ სახელმწიფო ჩარევის ფაქტი თავისთავად არ იძლევა უფლებას ჩანაწერების უარყოფისთვის.

უკრაინის მთავარი პოზიცია ეფუძნებოდა ADA მუხლ 2.2.1.1-ის ინტერპრეტაციას და ამტკიცებდა, რომ რუსეთის ბუნებრივი აირის ფასები, სახელმწიფო კონტროლის გათვალისწინებით, არ წარმოადგენდა რეალურ საბაზრო ღირებულებას. შესაბამისად, ADA-ის 2.2.1.1 მუხლით გათვალისწინებული მწარმოებლების ბუღალტრული ჩანაწერები გონივრულად ვერ ასახავდა წარმოების ხარჯებს. ამის საფუძველზე, შესწავლის ორგანომ პირობითი ნორმალური ღირებულების დადგენის პროცესში მიზანშეწონილად მიიჩნია გამოყენებინა ალტერნატიული ფასების მეთოდოლოგია. უკრაინის პოზიციის მიხედვით, რუსეთის ბაზარზე “განსაკუთრებულ მდგომარეობის” (PMS) არსებობა ამართლებდა ხარჯების კორექტირებას. დამატებით, უკრაინის პოზიციით მას შეეძლო რუსეთის შიდა ფასების უგულებელყოფა და ამის დასაბუთება სუბსიდიებისა და დაცვითი ზომების შესახებ შეთანხმების (SCM) 14(დ) მუხლით სცადა.

WTO-ს პანელისა და სააპელაციო ორგანოს პოზიცია

პანელისა და სააპელაციო ორგანოს შეფასება ძირითადად ეფუძნებოდა ანტიდემპინგური შეთანხმების (ADA) მუხლებს 2.2, 2.2.1.1, რომლებიც განსაზღვრავენ ნორმალური ღირებულების დადგენის მეთოდოლოგიას და მწარმოებლის ჩანაწერების გამოყენების პირობებს. პანელმა და სააპელაციო ორგანომ დაადგინეს, რომ ანტიდემპინგური შეთანხმების 2.2.1.1 მუხლის პირველი წინადადების მეორე პირობა არ ითხოვს ექსპორტიორის ან მწარმოებლის მიერ მოხსენებული ხარჯების „გონივრულობის“ სუბიექტურ შეფასებას. პირიქით, მთავარი მოთხოვნაა, რომ ჩანაწერები გონივრულად ასახავდეს იმ რეალურ ხარჯებს, რომლებიც უკავშირდება პროდუქტის წარმოებასა და გაყიდვებს.

საქმეში MEDT-მა უარყო რუსი მწარმოებლების მიერ წარმოდგენილი ბუნებრივი გაზის ღირებულება იმ მოტივით, რომ ფასი იყო მთავრობის მიერ კონტროლირებული და ხელოვნურად დაბალი. თუმცა, პანელმა განმარტა, რომ მხოლოდ ფასის დაბალი დონე თავისთავად არ იძლევა საკმარის საფუძველს ჩანაწერების უგულებელყოფისთვის. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია მყარი დასაბუთება იმისა, რომ მწარმოებლის დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯები არ ასახავს წარმოების ფაქტობრივ ღირებულებას იმ ქვეყანაში, სადაც პროდუქცია იქმნება.

სააპელაციო ორგანომ განმარტა, რომ სუბსიდირების შეთანხმებასა და ანტიდემპინგურ წესებს განსხვავებული მიზნები აქვთ და მათი აღრევა არ შეიძლება. ერთის ნორმა მეორეს ინტერპრეტაციისთვის ვერ იქნება გამოყენებული, ამიტომ უკრაინის ეს არგუმენტი მიუღებლად იქნა მიჩნეული.

გარდა ამისა, პანელმა და სააპელაციო ორგანომ ხაზი გაუსვეს, რომ მუხლი 2.2 არ კრძალავს სხვა ქვეყნებიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებას პირობითი ნორმალური ღირებულების განსაზღვრისას, თუმცა ასეთი ინფორმაცია უნდა ადაპტირდეს სათანადოდ და ასახავდეს იმ ქვეყანის რეალურ პირობებს, სადაც პროდუქტი იწარმოება. უკრაინის შემთხვევაში, MEDT-მა გამოიყენა ალტერნატიული ფასი, რომელიც დაფუძნებული იყო რუსეთიდან გერმანიაში ექსპორტირებულ ბუნებრივ გაზზე. მას გამოაკლო მხოლოდ ტრანსპორტირების ხარჯები, თუმცა ვერ წარმოადგინა დამაკმაყოფილებელი ახსნა იმისა, თუ როგორ ასახავდა მიღებული ფასი რეალურ ღირებულებას რუსეთში. შესაბამისად,

ასეთი მეთოდოლოგია არ აკმაყოფილებდა 2.2 და 2.2.1.1 მუხლების მოთხოვნებს, რაც წარმოადგენდა ორივე სტანდარტის დარღვევას.

დავის შეფასება და სამართლებრივი მნიშვნელობა

საქმე WT/DS493 მკაფიოდ განამტკიცებს სამართლებრივ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ღირებულებები და ხარჯები ნორმალური ღირებულების განსაზღვრისას ითვლება ძირითად და პრიორიტეტულ წყაროდ. შესწავლის ორგანოს მხრიდან მათი უარყოფა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სათანადოდ დასაბუთებული და ფაქტებზე დაფუძნებული მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს მონაცემების არასანდოობაზე ან ბაზრის არსებით დამახინჯებაზე.

უკრაინის მიერ არჩეული მიდგომა, რომელიც ეფუძნებოდა არგუმენტს სახელმწიფოს ჩარევის შესახებ, არ აღმოჩნდა საკმარისი საფუძველი ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ფასების უგულებელყოფისთვის. მხოლოდ ზოგადი პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემოებები, როგორიცაა სახელმწიფო რეგულირება ან ფასების კონტროლი, ვერ ქმნის სამართლებრივ საფუძველს შიდა ღირებულებების პირდაპირ უარყოფისთვის, თუ არ არის წარმოდგენილი კონკრეტული ეკონომიკური ან ბუღალტრული ანალიზი, რომელიც ადასტურებს რეალურ ზემოქმედებას ბაზარზე.

DS488 - United States - Anti-Dumping Measures on Certain Oil Country Tubular Goods from Korea

ფაქტობრივი გარემოებები და ნორმალური ღირებულების დადგენის მეთოდოლოგია

საქმე ეხებოდა 2014 წელს აშშ-ის მიერ კორეიდან იმპორტირებული ნავთობისა და გაზის სამრეწველო მილებისთვის (Oil Country Tubular Goods — OCTG) დაწესებულ ანტიდემპინგურ ტარიფებს.

საქმეში DS488 აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტმა (USDOC) დაასკვნა, რომ კორეული მწარმოებელი მასალებს მომწოდებელი კომპანიისგან იღებდა არასაბაზრო ფასად, რომელიც განსხვავდებოდა იმ ფასებისგან, რასაც მომწოდებელი კომპანია სხვა დამოუკიდებელ მყიდველებთან იყენებდა. ამ განსხვავების გამო, USDOC მიიჩნია, რომ მწარმოებელი კომპანიის ფინანსური ჩანაწერები არ ასახავდა რეალურ, ბაზარზე არსებულ ღირებულებას, რის საფუძველზეც შესაძლოდ მიიჩნია ალტერნატიული მონაცემების გამოყენება ნორმალური ღირებულების დასადგენად.

შესწავლის ორგანო (USDOC) ასევე მიუთითებდა კორეული შიდა გაყიდვების მოცულობის სიმცირეზე (ექსპორტის მოცულობის 5%-ზე ნაკლები). შედეგად, ზემოთხსენებული ორი არგუმენტის გამოყენებით, აშშ-ის კომერციის დეპარტამენტმა გამოიყენა პირობითი ნორმალური ღირებულების დადგენის მეთოდი.

დამატებით, დავა შეეხო პირობითი ნორმალური ღირებულების დადგენის პროცესში მოგების მაჩვენებლის გამოთვლის საკითხს, კერძოდ, აშშ-ს შესწავლის ორგანომ არ გამოიყენა ექსპორტიორი კომპანიების მიერ წარმოდგენილი მონაცემები და „იმავე კატეგორიის პროდუქტის„ ვიწროდ განსაზღვრის საფუძველზე დაეყრდნო საერთაშორისო კომპანიის მოგების მაჩვენებლები.

მხარეთა პოზიციები

კორეამ უარყო აშშ-ის მიერ მხოლოდ პირობითი ღირებულების გამოყენება, ვინაიდან ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო ისე, რომ არ განხილულა მესამე ქვეყანაში ექსპორტის ფასების გამოყენების შესაძლებლობა, რაც წარმოადგენს ანტიდემპინგური შეთანხმების 2.2

მუხლის დარღვევას. ამასთანავე, კორეამ აღნიშნა, რომ ამერიკულმა მხარემ არ გაითვალისწინა კორეული მწარმოებლების რეალური ფინანსური მონაცემები მოგების მაჩვენებლის დასადგენად, მიუხედავად იმისა, რომ ეს მონაცემები ხელმისაწვდომი იყო და ასახავდა რეალურ კომერციულ პრაქტიკას. გარდა ამისა, კორეის პოზიციით, 5%-იანი ზღვრის გამოყენება თვითნებურად გამორიცხავდა შიდა ფასებზე დაფუძნებული ნორმალური ღირებულების განსაზღვრის შესაძლებლობას და არღვევდა ანტიდემპინგური შეთანხმების ფუნდამენტურ პრინციპებს, მათ შორის სამართლიანობისა და ობიექტურობის მოთხოვნებს.

მწარმოებელი კომპანიის საბუღალტრო ჩანაწერები შეესაბამებოდა GAAP-ს და კორპორაციული კავშირის მიუხედავად, არ არსებობდა მტკიცებულება, რომ ფასები ზღუდავდა კონკურენციას. კორეის პოზიციის მიხედვით, USDOC-ს არ ჰქონდა ობიექტური საფუძველი რეალური ხარჯების უარყოფისთვის. აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტმა არასწორად გამოიყენა არადაკავშირებული მხარისთვის განსაზღვრული კონკურენტული ფასის (arm's length) ტესტი, რადგან ის არ შემოიფარგლა ჩანაწერების სანდოობის შეფასებით, არამედ შეაფასა ფასების „საბაზრო გონივრულობა“, რაც არღვევდა ანტიდემპინგური შეთანხმების 2.2.1.1 მუხლს. დამატებით, კორეის მოსაზრებით, USDOC-მა გაუმართლებლად ვიწროდ განმარტა ტერმინი "იგივე კატეგორიის პროდუქტები".

აშშ-ის მტკიცებით, ანტიდემპინგური შეთანხმების 2.2 მუხლი არ აწესებს იერარქიულ ურთიერთობას მესამე ქვეყნის ექსპორტის ფასსა და პირობით ღირებულებას შორის. შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს აქვთ დისკრეცია აირჩიონ ის მეთოდი, რომელიც შეესაბამება კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. აშშ-ის განცხადებით, მოგების მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოყენებულ იქნა ალტერნატიული წყაროები, რაც მათი შეფასებით სრულად შეესაბამებოდა 2.2.2 მუხლის მოთხოვნებს. 5%-იანი ზღვრის გამოყენება, აშშ-ის განმარტებით, წარმოადგენს სამართლებრივად დასაბუთებულ ინსტრუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს არასანდო და დამახინჯებული ბაზრის პირობების გამორიცხვას ნორმალური ღირებულების დადგენის პროცესში.

აშშ-ს პოზიციით, მწარმოებელ კომპანიასთან კავშირი და ფასთა სხვაობა სხვა, დამოუკიდებელ მყიდველებთან შედარებით აჩვენებდა, რომ გარიგებები არ მოიცავდა არადაკავშირებული მხარისთვის განსაზღვრულ კონკურენტულ ფასებს (arm's length price). ამიტომ, მწარმოებელი კომპანიის მონაცემები არ ასახავდა თავისუფალი ბაზრის პირობებს და სუროგატული ღირებულების გამოყენება იყო დასაშვები. 2.2.1.1 მუხლი არ ავალდებულებს ორგანოს გამოიყენოს კომპანიის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ეჭვის არსებობის შემთხვევაში.

WTO-ს პანელის პოზიცია

US — OCTG (Korea) საქმეში WTO-ს პანელმა დაადგინა, რომ ნორმალური ღირებულების განსაზღვრისას ანტიდემპინგური შეთანხმების (ADA) მუხლი 2.2 არ შეიცავს ნორმალური ღირებულების განსაზღვრის ორი ალტერნატიული მეთოდიდან ერთ-ერთის შერჩევის კონკრეტულ კრიტერიუმებს. შესაბამისად, შესწავლის ორგანოებს აქვთ თავისუფლება თავად განსაზღვრონ ნორმალური ღირებულების დადგენის ალტერნატივებიდან გამოსაყენებელი მეთოდი, ობიექტურობის კრიტერიუმების გამოყენებისა და შესაბამისი დასაბუთების წარდგენის საფუძველზე.

DS488 საქმეში განხილული იყო არადაკავშირებული მხარისთვის განსაზღვრული კონკურენტული ფასის (arm's length) პრინციპი, რომლის მიხედვითაც მხოლოდ დამოუკიდებელ მხარეებს შორის საბაზრო პირობებში განხორციელებული გარიგებები ითვლება სანდოდ. აშშ-მ უარი თქვა კორპორაციულად დაკავშირებული კომპანიების

მონაცემების გამოყენებაზე, რადგან ფასები ბაზრის სტანდარტს არ შეესაბამებოდა. პანელმა მხარი დაუჭირა ამ მიდგომას, მაგრამ აღნიშნა, რომ მონაცემების უარყოფას უნდა ახლდეს მკაფიო და არგუმენტირებული დასაბუთება. ამავე საკითხთან დაკავშირებით, პანელმა აღნიშნა, რომ აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტმა (USDOC) სწორად დაადგინა ექსპორტიორსა და მომწოდებელს შორის კავშირი და გამოიყენა არადაკავშირებული მხარისთვის განსაზღვრული კონკურენტული ფასის (arm's length) ტესტი, ტესტი შესყიდვის ფასების სანდოობის შესაფასებლად. კორეამ ვერ დაამტკიცა, რომ მსგავსი შემოწმება აკრძალულია ანტიდემპინგური შეთანხმების 2.2.1.1 მუხლით, რის გამოც პანელმა უარყო მისი არგუმენტი.

პირობითი ნორმალური ღირებულების განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით პანელის დასკვნის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ დაბალი მოცულობის შიდა გაყიდვები არ წარმოადგენს ნორმალური ღირებულების პირდაპირი განსაზღვრისთვის საკმარის საფუძველს, აღნიშნული გაყიდვებიდან მიღებული მოგების მაჩვენებლის გამოყენება დასაშვებია პირობითი ნორმალური ღირებულების გამოთვლისას, როგორც შესაბამისი და სანდო მონაცემთა წყარო. შესაბამისად, პანელის დასკვნის მიხედვით USDOC ანტიდემპინგური შეთანხმების 2.2.2 მუხლის შესავალი ნაწილის შეუსაბამოდ, რადგან არ გამოიყენა მწარმოებლების მიერ მოწოდებული მონაცემები პირობითი ნორმალური ღირებულების მოგების დადგენის ნაწილში.

ამასთანავე, შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტმა (USDOC) არასწორად განმარტა ტერმინი „იგივე კატეგორიის პროდუქტები“, რის შედეგადაც იგი უფრო ვიწროდ იქნა განხილული და გამორიცხავდა ბევრ იმ პროდუქტს, რომელიც "მსგავსი პროდუქტის" განმარტებაში შედიოდა. ეს არაზუსტი ინტერპრეტაცია ეწინააღმდეგებოდა ანტიდემპინგური შეთანხმების 2.2.2(i) და 2.2.2(iii) მუხლებს, რაც მათ შორის გულისხმობს მოგების ზედა ზღვრის (profit cap) გამოთვლის ვალდებულებას.

დავის შეფასება და სამართლებრივი მნიშვნელობა

ეს საქმე ხაზს უსვამს ერთ მნიშვნელოვან პრინციპს: პირობითი ნორმალური ღირებულების გამოყენება დასაშვებია, თუმცა იგი აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს რეალურ და სანდო მონაცემებს, რათა თავიდან იქნას აცილებული თვითნებური ან დისკრიმინაციული შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის მიდგომა ზოგადად თავსებადია ანტიდემპინგური შეთანხმების 2.2 მუხლთან ნორმალური ღირებულების დადგენის ნაწილში, ADA 2.2.2 მუხლის დარღვევა გამოიხატა იმაში, რომ არ მოხდა მწარმოებლის მიერ მოწოდებული მოგების მონაცემების სრულფასოვანი განხილვა და გამოყენება.

WTO-ს გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ წევრი ქვეყნები თავისუფლები არიან ნორმალური ღირებულების დასადგენად მეთოდების არჩევაში, თუ მათი გამოყენება არ არის თვითნებური. კომერციული ჩანაწერების გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, ასახავს თუ არა ისინი არადაკავშირებული მხარისთვის განსაზღვრული კონკურენტული ფასის (arm's length price) პირობებში არსებულ ხარჯებს. მოგების მაჩვენებლის დადგენისას შესწავლის ორგანო ვალდებულია გამოიყენოს ხელმისაწვდომი და რეალური მონაცემები, ხოლო მათი იგნორირება წარმოადგენს ADA 2.2.2 მუხლის დარღვევას. შესაბამისად, აშშ-ს დაევალა მეთოდოლოგიის შეცვლა და მოგების კალკულაციისას მწარმოებლის მონაცემების გათვალისწინება.

ფაქტობრივი გარემოებები და ნორმალური ღირებულების დადგენის მეთოდოლოგია

2017 წელს ავსტრალიამ დააწესა ანტიდემპინგური ღონისძიება ინდონეზიიდან იმპორტირებულ ქაღალდზე. დავაში განხილული იყო ინდონეზიური კომპანიის საქმიანობა, რომელიც ქაღალდის წარმოებისთვის იყენებდა მერქანს (ცელულოზას), როგორც შუალედურ ნედლეულს. საქმე სამ ძირითად საკითს მოიცავდა:

1) შიდა ტრანზაქციის ფასის ჩანაცვლება - იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის შიდა სტრუქტურულ ერთეულებს შორის მერქნის გადაცემა განხორციელდა მხოლოდ თვითღირებულებით და არ მოიცავდა მოგების კომპონენტს, ავსტრალიის შესწავლის ორგანომ ეს ღირებულება ჩანაცვლა სამიზნე ფასით (benchmark), რომელიც ეფუძნებოდა სხვა ქვეყნების ბაზარზე არსებულ მონაცემებს და მოიცავდა მოგების კომპონენტსაც;

2) ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობის (PMS) დადგენა - შესწავლის ორგანოს პოზიციის მიხედვით, ინდონეზიაში ხის ჩიფსების ბაზარზე (მერქნის წარმოებისათვის გამოყენებული ნედლეული) სახელმწიფოს ინტერვენცია ფასებზე ახდენდა გავლენას (მაგალითად, ექსპორტის აკრძალვა და მარეგულირებელი შეზღუდვები), რაც ხელს უშლიდა ფასების თავისუფალ ფორმირებას;

3) ხის ჩიფსების ფასების გამორიცხვა - შესწავლის ორგანომ მიიჩნია, რომ მერქნის და შესაბამისად ხის ჩიფსების თვითღირებულებაზე დაფუძნებული შიდა ფასები ვერ ასახავდა რეალურ საბაზრო სიტუაციას, რის გამოც მიზანშეწონილი გახდა მათი ჩანაცვლება ალტერნატიული წყაროებით. შედეგად, ნორმალური ღირებულება განისაზღვრა არა ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზრის ფასებზე დაყრდნობით, არამედ პირობითი ღირებულების მეთოდით.

მხარეთა პოზიციები

ინდონეზია ამტკიცებდა, რომ მერქნის, როგორც შიდა წარმოებაში მოხმარებული შუალედური ნედლეულის კომერციული რეალიზაცია ბაზარზე არ ხდებოდა. შესაბამისად, მისი ღირებულების შეფასება გარე ბაზრის ფასებზე დაყრდნობით იყო სამართლებრივად გაუმართლებელი. ამ პროცესში მოგების კომპონენტი არ ფიგურირებდა და მისი დამატება ნორმალურ ღირებულებაში ხელოვნურად ზრდიდა მოგების დონეს. ინდონეზია ამტკიცებდა, რომ იაფი ნედლეულის (ხის ჩიფსების) გამოყენება ორივე მიმართულებისთვის (შიდა და საექსპორტო წარმოება) ერთნაირად მოქმედებდა ფასებზე. აღნიშნული დაბალი ღირებულების ჩიფსები შედის მერქნის თვითღირებულებაში, შესაბამისად კომპანიის საბოლოო პროდუქტის ფასები ორივე ბაზარზე თანაბრად იყო შემცირებული. ინდონეზია აღნიშნავდა, რომ ხის ჩიფსების ღირებულება, როგორც მერქნის ძირითადი ნედლეულის კომპონენტი, უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ნორმალური ღირებულების დათვლისას, რადგან მისი გამორიცხვა რეალური ხარჯების დამახინჯებულ სურათს ქმნიდა.

ინდონეზია ასევე უარყოფდა ავსტრალიის პოზიციას ბაზრის განსაკუთრებულ მდგომარეობასთან (PMS) დაკავშირებით და ამტკიცებდა, რომ ნედლეულის ბაზარზე მთავრობის ჩარევის შემთხვევაში, საქმე სუბსიდიების შესახებ შეთანხმების (SCM) მიხედვით უნდა შეფასებულიყო. მხარე მიიჩნევდა, რომ წარმოდგენილი არგუმენტი არ იყო საკმარისი შიდა ფასების უგულებელყოფისთვის. ინდონეზიის პოზიციით, სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტის აკრძალვა ან სხვა რეგულაცია ვერ ჩაითვლება ADA-ის 2.2 მუხლის ფარგლებში ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობის დადგენის საფუძვლად.

ავსტრალიის შესწავლის ორგანომ მერქნის ღირებულების განსაზღვრისას უპირატესობა მიანიჭა ალტერნატიული ფასების გამოყენებას, რაც დაასაბუთა იმით, რომ აღნიშნული ფასები უკეთესად ასახავდა თავისუფალი ბაზრის პირობებს. ავსტრალია ამტკიცებდა, რომ ინდონეზიური ნედლეულის ბაზარზე(ხის ჩიფსები) მთავრობის რეგულაციები, მათ შორის ექსპორტის აკრძალვა, ქმნიდა განსაკუთრებული ბაზრის მდგომარეობას (PMS), რაც ამართლებდა შიდა ფასების უგულებელყოფას და ნორმალური ღირებულების ADA-ის 2.2 მუხლის შესაბამისად, პირობითი მეთოდის საფუძველზე დადგენას. ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, ავსტრალიის პოზიციის მიხედვით, ინდონეზიელი მწარმოებლის ბუღალტრული ჩანაწერები არ ასახავდა წარმოების რეალურ ხარჯებს ADA-ის 2.2.1.1 მუხლის მიხედვით, რაც ადგილობრივი ფასების საერთაშორისო სამიზნე ფასებით ჩანაცვლების საფუძველს წარმოადგენდა.

WTO-ს პანელის პოზიცია

პანელმა ანტიდემპინგური შეთანხმების 2.2 მუხლის საფუძველზე იმსჯელა და დაადგინა, რომ ექსპორტიორი კომპანიის მიერ მერქნის შიდა სტრუქტურულ გადაცემაში გამოყენებული ღირებულება, რომელიც დაფუძნებული იყო მხოლოდ თვითღირებულებაზე და არ მოიცავდა მოგების ელემენტს, წარმოადგენს წარმოების ხარჯების განსაზღვრისთვის სათანადო მონაცემს. შესაბამისად, პანელმა აღნიშნა, რომ ავსტრალიის შესწავლის ორგანოს ევალეზობა განეხორციელებინა შესაბამისი კორექტირება და მიზნობრივი ფასებიდან გამოეკლო ის მოგების კომპონენტი, რომელიც არ შეესაბამებოდა მწარმოებლის რეალურ შიდა ეკონომიკურ პრაქტიკას. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა პანელმა შეაფასა ანტიდემპინგური შეთანხმების 2.2 მუხლის დარღვევად.

გარდა ამისა, პანელმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ავსტრალიის შესწავლის ორგანომ დამაჯერებლად ვერ დაასაბუთა თუ რატომ არ განიხილა რეალური საბუღალტრო მონაცემებისა და კომპანიის შიდა წარმოების ხარჯები ნორმალური ღირებულების დასადგენად და რატომ უგულებელყო მერქნის ძირითადი კომპონენტის - ხის ჩიფსების ღირებულება. მერქნის ღირებულება პირდაპირ არის დამოკიდებული იმ ნედლეულზე, რომლისგანაც იგი მზადდება. თუ ხის ჩიფსების ღირებულება არ არის გათვალისწინებული, მაშინ მერქნის ღირებულებაც დამახინჯებულად იქნება აღქმული, რაც გამოიწვევს მთლიანად არარეალური ხარჯების სტრუქტურას. აღნიშნული კი საბოლოოდ არღვევს WTO-ს ნორმალური ღირებულების გამოთვლის სტანდარტს. ანტიდემპინგური შეთანხმების 2.2.1.1 მუხლის შესაბამისად, შესწავლის ორგანოს ევალეზობა ექსპორტიორის კომერციული ჩანაწერების გამოყენება, იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეესაბამება საერთოდ მიღებულ საბუღალტრო პრინციპებს (GAAP) და გონივრულად ასახავს პროდუქციის წარმოებასა და გაყიდვებთან დაკავშირებულ ხარჯებს. პანელმა დაასკვნა, რომ ავსტრალიას არ ჰქონდა საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ უარი ეთქვა ინდონეზიური კომპანიის ფინანსური ჩანაწერების გამოყენებაზე, რადგან ეს ჩანაწერები არ არღვევდა საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ საბუღალტრო წესებს. აღნიშნული შეფასდა როგორც ADA 2.2.1.1 მუხლის დარღვევა.

დავაში მნიშვნელოვანი იყო პანელის მიერ „ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობის“ (PMS) ტერმინის განმარტება. პანელის შეფასებით, ეს ცნება აქტუალურია მხოლოდ მაშინ, როცა არსებული პირობები უშლის ხელს მსგავსი პროდუქტის შიდა და საექსპორტო ფასებს შორის „სათანადო შედარებას“. პანელმა აღნიშნა, რომ ტერმინი „ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობა“ არ ექვემდებარება ერთიან განსაზღვრებას და მისი შინაარსი დამოკიდებულია კონკრეტული შემთხვევის შეფასებაზე. ამასთანავე, პანელმა არ გაიზიარა ინდონეზიის არგუმენტი, რომ PMS არ მოიცავს ისეთ სიტუაციებს, როგორიცაა ფასების

დამახინჯება, სახელმწიფოს ჩარევა ან ისეთი პირობები, რომლებიც ერთნაირად მოქმედებს როგორც შიდა, ისე საექსპორტო გაყიდვებზე. შესაბამისად, პანელის შეფასებით არ დადასტურდა ავსტრალიის მიერ 2.2 მუხლის დარღვევა ინდონეზიაში შესაბამის „ბაზარზე განსაკუთრებული მდგომარეობის“ დადგენის კუთხით. ამავდროულად, პანელმა დაასკვნა, რომ ავსტრალიის ანტიდემპინგურმა ორგანომ არ შეაფასა აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული „სათანადო შედარების“ შესაძლებლობა. შესწავლის ორგანომ არ განიხილა ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობის გავლენა შიდა და საექსპორტო ფასებზე, რის შედეგადაც ანტიდემპინგური შეთანხმების 2.2 მუხლის „სათანადო შედარების შესაძლებლობის“ ნორმის შეუსაბამოდ იმოქმედა.

დავის შეფასება და სამართლებრივი მნიშვნელობა

საქმე DS529 მიუთითებს საერთაშორისო ვაჭრობის სამართალში არსებულ პრინციპზე, რომლის მიხედვითაც, შესწავლის ორგანოს ვალდებულებაა პირველ რიგში წარმოშობის ქვეყანაში პროდუქტის წარმოების რეალური ღირებულების მონაცემებს დაეყრდნოს. ამავე დროს, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ხარჯი წარმოიშვა შიდა ტრანზაქციის შედეგად და არ წარმოადგენს საბაზრო გარიგებას, არ უნდა გახდეს მისი უარყოფის საფუძველი.

ამასთანავე, დაბალი ღირებულების ნედლეულის გამოყენების გავლენა შიდა და საექსპორტო ფასებზე უნდა შეფასდეს არა თეორიული დაშვებების საფუძველზე, არამედ უნდა ემყარებოდეს ფაქტობრივ და ობიექტურ ანალიზს. კერძოდ, თუ როგორ აისახა აღნიშნული ფაქტორი თითოეულ ბაზარზე და შესაძლებელი იყო თუ არა მის პირობებში შიდა და საექსპორტო ფასების სამართლიანი შედარება. საქმეში ასევე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მაშინაც კი, როცა ბაზარზე ფასები მთავრობის ჩარევის შედეგად ყალიბდება, ეს ფაქტი თავისთავად არ ნიშნავს, რომ ანტიდემპინგური ზომების გამოყენება დაუშვებელია. ინდონეზია ამტკიცებდა, რომ თუ ფასების დამახინჯება გამოწვეულია მთავრობის მოქმედებით, ასეთი შემთხვევები მხოლოდ სუბსიდიების შესახებ შეთანხმებით (SCM) უნდა რეგულირდებოდეს და არა ანტიდემპინგური წესებით. თუმცა პანელმა ეს არგუმენტი არ მიიღო და განმარტა, რომ წევრ ქვეყნებს უფლება აქვთ გამოიყენონ ანტიდემპინგური ზომები, მიუხედავად იმისა, არის თუ არა დემპინგის მიზეზი მთავრობის ჩარევა ან სუბსიდირება.

DS454 / DS460 - China - HP-SSST (Japan) / China - HP-SSST (EU)

ფაქტობრივი გარემოებები და ნორმალური ღირებულების დადგენის მეთოდოლოგია

საქმე ეხებოდა ჩინეთის კომერციის სამინისტროს მიერ ანტიდემპინგური ტარიფის დაწესებას იაპონიიდან და ევროკავშირიდან იმპორტირებულ მაღალტექნოლოგიურ უჟანგავ ფოლადის უნაკერო მილებზე (HP-SSST). გამომდინარე იქიდან, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შიდა ბაზრის ფასები არ მიიჩნეოდა სარწმუნოდ, MOFCOM-მა გადაწყვიტა ნორმალური ღირებულება განესაზღვრა პირობითი ღირებულების საფუძველზე.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმეები *China - HP-SSST (Japan)* და *China - HP-SSST (EU)* ეხებოდა ერთი და იმავე შესწავლის ობიექტს და საერთო ჰქონდათ, როგორც ფაქტობრივი გარემოებები, ისე სამართლებრივი საფუძვლები და არგუმენტები, WTO-ს სააპელაციო ორგანომ მათი ერთდროული განხილვა ჩათვალა მიზანშეწონილად.

საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ექსპორტიორი იყო გერმანული კომპანია Salzgitter Mannesmann Stainless Tubes (SMST), რომელმაც შესწავლის პროცესში წარადგინა თავისი ფაქტობრივი მონაცემები, მათ შორის SG&A ხარჯები და მოგების მაჩვენებლები, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის ჩვეულებრივ პირობებში იყო მიღებული. შესწავლის ორგანომ არასანდოდ მიიჩნია SMST-ის წარმოდგენილი წარმოების ხარჯები, SG&A და

მოგების მონაცემები, რაც დასაბუთებული იყო კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საერთაშორისო საბუღალტრო პრინციპებთან (GAAP) შეუსაბამობით. შედეგად, SMST-ის მონაცემები ჩანაცვლდა სხვა ექსპორტიორი მწარმოებლების საშუალო მაჩვენებლებით.

მხარეთა პოზიციები

იაპონია და ევროკავშირი, როგორც მოსარჩელე მხარეები, მიუთითებდნენ, რომ ჩინეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა ანტიდამპინგური შეთანხმების 2.2.2 მუხლს. მათი პოზიციით შესწავლის ორგანო ვალდებულია გამოიყენოს მწარმოებლის ფაქტობრივი მონაცემები, თუ ისინი რეალურ კომერციულ საქმიანობას ასახავს. SMST-ის ინფორმაცია წარმოადგენდა ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში მიღებულ რეალურ მაჩვენებლებს და მათი უარყოფა თანმდევი ახსნა-განმარტების გარეშე, არღვევდა ADA-ის მოთხოვნებს.

ჩინეთი თავის მხრივ იცავდა პოზიციას, რომ SMST-ის მონაცემები არ იყო სრულყოფილი და არ წარმოადგენდა კომპანიის ხარჯების განსაზღვრის სანდო წყაროს. ჩინეთის მტკიცებით, MOFCOM-ს ჰქონდა დისკრეცია მიემართა სხვა, უფრო წარმომადგენლობითი ინფორმაციისთვის, რათა გამოეთვალა ნორმალური ღირებულება პირობითი მეთოდით.

SMST-ის მიერ წარმოდგენილი მონაცემების GAAP-ის პრინციპებთან შეუსაბამობა დასაბუთებული იყო იმ გარემოებით, რომ წარმოების თვითღირებულების ნაწილში მსგავსი პროდუქტის ხარჯებისათვის გამოყენებული განაწილების კოეფიციენტების მეთოდი (allocation keys) არ იყო სათანადოდ ვერიფიცირებული და არ ეფუძნებოდა რეალურად დარიცხულ ბუღალტრულ მონაცემებს.

WTO-ს პანელისა და სააპელაციო ორგანოს პოზიცია

ანტიდემპინგური შეთანხმების 2.2.2 მუხლის მიხედვით, როდესაც ნორმალური ღირებულება დგინდება პირობითი ღირებულების მეთოდით (ADA 2.2), მოგებისა და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების (SG&A) ოდენობა უნდა განისაზღვროს ჩვეულებრივ სავაჭრო პირობებში ექსპორტიორის ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, პანელმა და შემდეგ სააპელაციო ორგანომ აღნიშნეს, რომ 2.2.2 მუხლი ავალებს შესწავლის ორგანოს, გამოიყენოს რეალური, ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც ასახავს წარმოებასა და გაყიდვებს ჩვეულებრივ სავაჭრო პირობებში. ეს ორი ელემენტი, „ფაქტობრიობა“ და „ჩვეულებრივი სავაჭრო პირობები“ ქმნის ერთ მთლიან სტანდარტს, რაც ნიშნავს, რომ მათი ცალ-ცალკე შეფასება დაუშვებელია: ორივე უნდა დაკმაყოფილდეს ერთდროულად. პანელის თქმით, MOFCOM-მა ვერ წარმოადგინა დამაჯერებელი არგუმენტები, თუ რატომ არ შეიძლებოდა ექსპორტიორის მიერ მოწოდებული რეალური მონაცემების გამოყენება SG&A ხარჯებისა და მოგების დასადგენად.

MOFCOM-მა არ განმარტა, იყო თუ არა ექსპორტიორის მიერ მიწოდებული მონაცემები ერთდროულად ფაქტობრივი და ჩვეულებრივ სავაჭრო პირობებში მოპოვებული, როგორც ამას ADA-ის 2.2.2 მუხლი მოითხოვს. პანელმა და სააპელაციო ორგანომ მისი მოქმედება ისე შეაფასეს, თითქოს MOFCOM-მა ეს ორი პირობა ერთმანეთისგან გამოყო და მხოლოდ ერთ-ერთი შეასრულა.

სააპელაციო ორგანომ აღნიშნა, რომ როდესაც ასეთი რეალური, შიდა კომერციული მონაცემები ხელმისაწვდომია და არ არსებობს მათი სანდოობის საწინააღმდეგო მტკიცებულება, შესწავლის ორგანო ვალდებულია სწორედ ამ მაჩვენებლებზე ააგოს თავისი პირობითი ღირებულება. ამ შემთხვევაში კი, MOFCOM-მა უარი თქვა ინფორმაციის

გამოყენებაზე სათანადო ახსნა-განმარტების გარეშე. შესაბამისად, ჩინეთის ქმედება 2.2.2 მუხლთან შეუსაბამოდ ჩაითვალა.

დავის შეფასება და სამართლებრივი მნიშვნელობა

ეს საქმე წარმოადგენს მნიშვნელოვან მაგალითს იმის დემონსტრირებისთვის, თუ როგორ უნდა მოხდეს ნორმალური ღირებულების დადგენა პირობითი მეთოდით იმ პირობებში, როდესაც უშუალოდ ბაზრის ფასებზე დაყრდნობა შეუძლებელია. საქმე აჩვენებს, რომ: შესწავლის ორგანო ვალდებულია დეტალურად ახსნას, რატომ არ შეიძლება კონკრეტული კომპანიის მონაცემების გამოყენება. მარტო დაუსაბუთებელი უარი არ არის საკმარისი. შეთანხმება უპირატესობას ანიჭებს იმ მონაცემებს, რომლებიც ასახავს მწარმოებლის რეალურ ხარჯებს ჩვეულებრივ პირობებში.

სააპელაციო ორგანოს განმარტება გულისხმობს, რომ ანტიდამპინგური შეთანხმების 2.2.2 მუხლში გამოყენებული ფორმულირება – “actual data pertaining to production and sales in the ordinary course of trade” – არ უნდა განიმარტოს როგორც ორი დამოუკიდებელი კრიტერიუმი „ფაქტობრივი მონაცემები“ ცალკე და „ჩვეულებრივი სავაჭრო პირობები“ ცალკე. ნაცვლად ამისა უნდა აღვიქვათ, როგორც ერთი მთლიანობა, შეკრული სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს, რომ: გამოსაკვლევი მონაცემები უნდა იყოს მიმდინარე, რეალური (ფაქტობრივი) და ამავე დროს უნდა ასახავდეს ჩვეულებრივ კომერციულ პრაქტიკაში განხორციელებულ წარმოებასა და გაყიდვებს.

სააპელაციო ორგანოს აზრით, ორივე ელემენტი უნდა იყოს ერთდროულად დაკმაყოფილებული და შესწავლის ორგანო ვალდებულია ამ სტანდარტის გათვალისწინებით იმოქმედოს, როდესაც წყვეტს, გამოიყენოს თუ არა ექსპორტიორის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ნორმალური ღირებულების განსასაზღვრად.

თავი II. არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ნორმალური ღირებულების დადგენის პრინციპები

არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების (Non-Market Economies – NME) სპეციფიკა ანტიდემპინგური შესწავლის ფარგლებში ცალკე სამართლებრივ და მეთოდოლოგიურ გამოწვევად განიხილება. ასეთ ქვეყნებში სახელმწიფო ხშირად ახორციელებს არსებით ჩარევას ბაზრის ფუნქციონირებაში, რაც გულისხმობს ფასების, წარმოების მოცულობისა და რესურსების განაწილების ადმინისტრაციულ რეგულირებას. აღნიშნული გარემოებები იწვევს ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რამდენად ასახავს ექსპორტიორი კომპანიის შიდა ფასები და წარმოების ხარჯების სტრუქტურა ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის პირობებში ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ რეალობას. ამგვარ პირობებში, იმ სტანდარტული მიდგომის გამოყენება, რომელიც ეფუძნება ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზარზე არსებულ ჩვეულებრივ სავაჭრო ოპერაციებს, მნიშვნელოვნად რთულდება და საჭიროებს დამატებით შეფასებასა და დასაბუთებას იმის თაობაზე, რამდენად არის შესაძლებელი ნორმალური ღირებულების დადგენა მსგავსი ინფორმაციის საფუძველზე.

ასეთ ვითარებაში, ანტიდემპინგური შესწავლის ორგანოს შეუძლია ნორმალური ღირებულება განსაზღვროს სხვა ქვეყნის საბაზრო ფასების ან ხარჯების საფუძველზე. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მესამე ქვეყანაში განხორციელებული ექსპორტის ფასი და ე.წ. სუროგატი ქვეყნის (analogue country) მეთოდოლოგია განვასხვაოთ ერთმანეთისგან. მესამე ქვეყნის ბაზრის ფასებზე დაყრდნობა ზოგადი ანალიტიკური საშუალებაა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გულისხმობდეს როგორც შიდა ფასების, ისე საექსპორტო ფასების გამოყენებას შედარებისთვის, თუმცა მას არ გააჩნია ფორმალური სამართლებრივი სტატუსი, როგორც დამოუკიდებელ ინსტრუმენტს. თავის მხრივ, სუროგატული ქვეყნის

მეთოდი (analogue country method) წარმოადგენს სპეციფიკურ სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ექსპორტიორ ქვეყანას მინიჭებული აქვს არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსი (NME) და მისი შიდა ფასების სანდოობა ეჭვს იწვევს. ასეთ შემთხვევაში ნორმალური ღირებულების დადგენა ხდება შედარებადი, საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც ოფიციალურად განისაზღვრება როგორც - სუროგატული ქვეყნის მეთოდი.

ზემოაღნიშნული მიდგომა ეფუძნება WTO-ს ანტიდემპინგური შეთანხმების 2.2 მუხლს, რომელიც განსაზღვრავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ შიდა გაყიდვები არ არის საკმარისად სანდო ან ბაზარზე არსებობს განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც ხელს უშლის სამართლიან შედარებას, ნორმალური ღირებულება შეიძლება განისაზღვროს სხვა შესაბამისი ბაზრის ფასების ან წარმოების ხარჯების საფუძველზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ანტიდემპინგური შეთანხმება პირდაპირ არ განსაზღვრავს „არასაბაზრო ეკონომიკის“ ცნებას“. NME-ის რეჟიმი ჩამოყალიბებულია ეროვნულ კანონმდებლობებში, მათ შორის საქართველოში, როგორც მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელიც ეყრდნობა 2.2 მუხლის დებულებებს და პრაქტიკაში დაკავშირებულია განსაკუთრებული ბაზრის მდგომარეობის (PMS) შეფასებასთან WTO-ს დავებში. განხილული დავების პრაქტიკაში, ასევე აქტუალურია ანტიდემპინგური შეთანხმების 6.10 და 9.2 მუხლები. მუხლი 6.10 ავალდებულებს შესწავლის ორგანოს, ინდივიდუალურად განსაზღვროს თითოეული ექსპორტიორის ან მწარმოებლის დემპინგის ზღვარი, ხოლო მუხლი 9.2 ითვალისწინებს ინდივიდუალური განაკვეთის გამოყენებას ტარიფის დაწესებისას. აღნიშნული დებულებები ერთობლივად ამყარებს ინდივიდუალური მოპყრობის პრინციპს, რომლის იგნორირებაც ხშირად წარმოადგენს სადავო საკითხს არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების საქმეებში.

არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის განმსაზღვრელი ნორმები საქართველოს კანონის მე-8 მუხლში და წესის მე-12 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტებშია მოცემული. წესის მე-12 მუხლის მე-11 პუნქტი განსაზღვრავს თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე ხდება ექსპორტიორი ქვეყნის მიჩნევა არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად.

DS397 - European Communities - Definitive Anti-Dumping Measures on Certain Iron or Steel Fasteners from China

ფაქტობრივი გარემოებები და ნორმალური ღირებულების დადგენის მეთოდოლოგია

საქმე წარმოიშვა ევროკავშირის მიერ 2007 წელს დაწყებული ანტიდემპინგური შესწავლის შედეგად, რომელიც ეხებოდა ჩინეთიდან იმპორტირებული რკინისა და ფოლადის სამაგრებს. ევროკავშირმა, ჩინეთის NME სტატუსზე დაყრდნობით, უარი განაცხადა ჩინელი მწარმოებლების შიდა ბაზრის ფასების გამოყენებაზე და ნორმალური ღირებულება განსაზღვრა ინდოეთის, როგორც სუროგატი ქვეყნის ბაზრის ფასებზე დაყრდნობით. კომისიის შეფასებით, სახელმწიფოს ძლიერი ჩარევა, მათ შორის ფასების რეგულირებაში და რესურსების განაწილებაში, უარყოფითად აისახებოდა შიდა ღირებულების სანდოობაზე.

მხარეთა პოზიცია

ევროკომისიამ ნორმალური ღირებულება განსაზღვრა ინდოეთის ბაზარზე მოქმედი კომპანიის შიდა ფასებზე დაყრდნობით. შესწავლის ორგანომ უარყო ჩინური მწარმოებლების მიერ წარდგენილი ფასების კორექტირების მოთხოვნა. კომისიის პოზიციით, ამგვარი კორექტირების მიღება ზიანს მიაყენებდა სუროგატი ქვეყნის

მეთოდოლოგიის გამოყენებას. შესწავლის ორგანოს განცხადებით, სუროგატი ქვეყნის შერჩევისა და ნორმალური ღირებულების დადგენისას მისი ფასების გამოყენების შეთხვევაში, დაუშვებელია ამ მონაცემების შემდგომი კორექტირება, განსაკუთრებით ისეთ გარემოებებზე დაყრდნობით, რომლებიც უკავშირდება ექსპორტიორი ქვეყნის (ჩინეთის) შიდა ხარჯებს. აღნიშნული მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის სუროგატი ქვეყნის მეთოდოლოგიის ძირითად პრინციპთან, რომლის არსი სწორედ ჩინეთის დამახინჯებული ხარჯებისაგან თავის არიდებაა.

ჩინეთის მხარე არ ასაჩივრებდა თავად სუროგატი ქვეყნის მეთოდოლოგიის გამოყენებას. ანტიდემპინგური შესწავლის სამიზნე ქვეყნის საჩივარი მიმართული იყო იმ გარემოებაზე, რომ ევროკომისიამ უარი განაცხადა კორექტირებების განხორციელებაზე, რომლებიც აუცილებელი იყო ანტიდემპინგური შეთანხმების 2.4 მუხლის მიხედვით ფასთა სამართლიანი შედარების უზრუნველსაყოფად. ჩინეთის შეფასებით, ნედლეულის დაბეგვრის სისტემაში არსებული განსხვავებები ინდოეთსა და ჩინეთში, პირდაპირ გავლენას ახდენს ფასების შედარების სისწორესა და ობიექტურობაზე, რაც ფასების კორექტირების აუცილებლობაზე მიუთითებდა. ამასთან, ჩინეთი ამტკიცებდა, რომ კომისიამ ვერ დაასაბუთა მისი გადაწყვეტილება ჩინური მწარმოებლების მიმართ ინდივიდუალური მიდგომისა და მათ მიერ წარმოდგენილი დეტალური ფინანსური და ბუღალტრული ინფორმაციის უარყოფასთან დაკავშირებით.

WTO-ს პანელის და სააპელაციო ორგანოს შეფასება

EC — Fasteners (China) საქმეში პანელმა აღნიშნა, რომ ADA-ის 2.4 მუხლი არ განსაზღვრავს ფასთა შედარებისას გასათვალისწინებელი კორექტირებების შესახებ მეთოდოლოგიას. პანელის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ასეთი კორექტირების მოთხოვნის წარდგენა და დასაბუთება ექსპორტიორის პასუხისმგებლობაა. შესაბამისად, თუ ექსპორტიორი ვერ ასაბუთებს, რომ არსებული განსხვავებები რეალურად მოქმედებს ფასების შედარებაზე, ორგანო ვალდებული არ არის დააკმაყოფილოს ასეთი მოთხოვნა.

პანელის პოზიციით, ინდოეთში მოქმედი საბაჟო მოსაკრებლები და სხვა შიდა გადასახადები ასახავდნენ იმ ქვეყნის ეკონომიკურ და საგადასახადო პოლიტიკას. პანელმა მიიჩნია, რომ გადასახადების კომპონენტის კორექტირება, ჩინეთის მოთხოვნის შესაბამისად, დააზიანებდა სუროგატი ქვეყნის მეთოდოლოგიის ძირითად პრინციპს და საფრთხეს შეუქმნიდა შესწავლის ობიექტურობასა და შედეგების სანდოობას.

სააპელაციო ორგანოს დასკვნა შესაბამისობაში იყო პანელის ძირითად პოზიციასთან, რომლის მიხედვითაც, შესწავლის ორგანო არ იყო ვალდებული მიეღო ის შესწორებები, რომლებიც სუროგატ ქვეყანაში მსგავსი პროდუქტის ღირებულებას ექსპორტიორი ქვეყნის ბაზარზე არსებულ ღირებულებაზე დააბრუნებდა. თუმცა სააპელაციო ორგანომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომისიამ ვერ წარმოადგინა საკმარისი არგუმენტაცია კორექტირების უარყოფის გასამართლებლად და ვერ დაასაბუთა მოთხოვნილი შესწორებების კავშირი ჩინეთში არსებულ დამახინჯებულ ფასებთან. სააპელაციო ორგანომ ასევე აღნიშნა, რომ შესწავლის ორგანო ვალდებული იყო დაედგინა, ახდენდა თუ არა მოთხოვნილი კორექტირება ფასთა შედარების სამართლიანობაზე რეალურ გავლენას, რაც ეფუძნება ანტიდემპინგური შეთანხმების 2.4 მუხლის მოთხოვნებს.

დამატებით, პანელმა და სააპელაციო ორგანომ დაადგინეს, რომ NME სტატუსის განსაზღვრა ქვეყნისათვის, არ არის საკმარისი ინდივიდუალური კომპანიების ბუღალტრული ჩანაწერების უარყოფისთვის; ADA-ის 2.2.1.1 მუხლი ავალდებულებს ორგანოს, გამოიყენოს მწარმოებლის მონაცემები, თუ ისინი სანდოა. ასევე, საქმეში პანელმა განმარტა, რომ ADA-ის 2.4 მუხლი არ ითვალისწინებს ნორმალური ღირებულების

დადგენის მეთოდოლოგიას და არ ამართლებს შიდა მონაცემების უარყოფას მხოლოდ NME სტატუსის საფუძველზე.

იმის გათვალისწინებით, რომ შესწავლის ორგანომ არ გამოიყენა ინდივიდუალური დემპინგური ზღვრის დადგენის მეთოდოლოგია, იმ კომპანიების შემთხვევაში, რომლებმაც სრულად ითანამშრომლეს და წარადგინეს სანდო ინფორმაცია, სააპელაციო ორგანომ დაადგინა, რომ ევროკავშირის მიდგომა არღვევდა ADA-ის 6.10 და 9.2 მუხლებს.

დავის შეფასება და სამართლებრივი მნიშვნელობა

საქმე EC – Fasteners (China) აჩვენებს, რომ სუროგატი ქვეყნის მეთოდოლოგიის გამოყენებისას შესწავლის ორგანო 2.4 მუხლის სამართლიანი შედარების პრინციპის გათვალისწინების მიუხედავად, არ არის ვალდებული მიიღოს ფასების კორექტირების ის კომპონენტები, რომლებიც სუროგატ ქვეყანაში მსგავსი პროდუქტის ღირებულებას ექსპორტიორ ქვეყანაში არსებულ არასაბაზრო ფასებთან დაახლოვებს, იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს აღნიშნულ კორექტირებაზე უარის სრულყოფილ დასაბუთებას.

ამასთანავე, დავამ გამოავლინა შესწავლის ორგანოს შეზღუდული დისკრეცია არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის განსაზღვრული მეთოდოლოგიის გამოყენებისას ექსპორტიორი კომპანიების უფლებების მიმართულებით. სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე, განისაზღვრა შესწავლის ორგანოს ვალდებულება გამოიყენოს ინდივიდუალური მიდგომა ექსპორტიორი კომპანიების მიმართ და NME სტატუსის გამოყენების შედეგად მთლიანი ქვეყანა ერთიანად არ შეაფასოს.

DS405 - European Union — Anti-Dumping Measures on Certain Footwear from China

ფაქტობრივი გარემოებები და ნორმალური ღირებულების დადგენის მეთოდოლოგია

ევროკავშირმა 2009 წელს დაიწყო განმეორებითი ანტიდემპინგური შესწავლა ჩინეთიდან იმპორტირებული ტყავის ფეხსაცმლის წინააღმდეგ. შესწავლისას ევროკომისიამ, არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსის (NME) საფუძველზე, უარი განაცხადა ჩინეთის შიდა ფასების გამოყენებაზე ნორმალური ღირებულების განსაზღვრისას. შედეგად, ნორმალური ღირებულება დადგინდა სუროგატი ქვეყნის - ბრაზილიის ბაზრის ფასებზე დაყრდნობით. შესწავლის ფარგლებში ზოგიერთი ჩინური კომპანიის მიმართ დადგინდა ინდივიდუალური განაკვეთები, თუმცა დიდი ნაწილი დაექვემდებარა საერთო განაკვეთს.

მხარეთა პოზიციები

ევროკავშირის პოზიციის მიხედვით, ნორმალური ღირებულების დადგენისას, ანტიდემპინგური შეთანხმების (ADA) 2.2 მუხლი საშუალებას აძლევს შესწავლის ორგანოს გამოიყენოს სუროგატი ქვეყნის ბაზრის ფასები, თუ დადგინდება, რომ ექსპორტიორის მიერ მიწოდებული მონაცემები არასანდოა ან დამახინჯებულია. ევროკავშირის პოზიციით, ინდივიდუალური დემპინგური განაკვეთის მინიჭება მხოლოდ ინფორმაციის წარდგენით არ არის შესაძლებელი, ექსპორტიორმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს სრული, დროული და სანდო ინფორმაციის წარმოდგენა და აქტიურად ითანამშრომლოს შესწავლის პროცესში. თუ თანამშრომლობა არასაკმარისია შესწავლის ორგანოს უფლება აქვს გამოიყენოს საერთო (country-wide) განაკვეთი ინდივიდუალური განაკვეთის ნაცვლად. ევროკავშირის შეფასებით, მოგების ზღვრული მაჩვენებლის (profit cap) განსაზღვრა განხორციელდა იმგვარად, რომ დაცული იყო ADA-ის 2.2.2(iii) მუხლის ზოგადი პრინციპები, რომელიც ითვალისწინებს მოგების დონის დადგენას სხვა

მწარმოებლების ან ექსპორტიორების მიერ ანალოგიური პროდუქციის შიდა ბაზარზე რეალიზაციიდან მიღებული მოგების საფუძველზე.

ჩინეთის შეფასებით, ევროკავშირის მიდგომა არღვევს ADA-ის 2.1, 2.2 და 2.2.2(iii) მუხლების მოთხოვნებს, ვინაიდან ნორმალური ღირებულების განსაზღვრა განხორციელდა სუროგატული ბაზრის მონაცემებზე დაყრდნობით, სათანადო დასაბუთების გარეშე, ხოლო მოგების დონის განსაზღვრისას არ იყო გათვალისწინებული იმავე ზოგადი კატეგორიის პროდუქციის შიდა ბაზარზე რეალიზაციიდან მიღებული მოგება.

დამატებით, ჩინეთი ამტკიცებდა, რომ ევროკავშირმა დაარღვია ADA-ს 6.10 და 9.2 მუხლები, რადგან ჩინელი მწარმოებლებისათვის არ განსაზღვრა ინდივიდუალური დემპინგური ზღვარი. ამასთანავე, ევროკავშირმა ვერ უზრუნველყო სამართლიანი შედარება (მუხლი 2.4), რადგან სუროგატულ მონაცემებს დაეყრდნო და არ განახორციელა საჭირო კორექტირებები, მაშინ როცა პროდუქტის კონტროლის ნომრების (PCN) სისტემა არ იყო გამჭვირვალე.

WTO პანელის შეფასება

პანელმა არ გაიზიარა ჩინეთის პოზიცია 2.1 მუხლთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მუხლი არ აწესებს მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს სუროგატი ქვეყნის შერჩევაზე. პანელის მიხედვით, არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, სუროგატი ქვეყნის შერჩევა შესწავლის ორგანოს დისკრეციაა.

ასევე, პანელმა უარყო ჩინეთის მოთხოვნა, რომ პროდუქტის კონტროლის ნომრების (PCN) სისტემა აუცილებლად უნდა ასახავდეს ფასთა შედარებაზე მოქმედ ყველა მახასიათებელს. პანელის შეფასებით, 2.4 მუხლი არ ადგენს კონკრეტულ მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს კორექტირება და სამართლიანი შედარება. ჩინელმა ექსპორტიორებმა ვერ წარადგინეს მტკიცებულებებით გამყარებული, კონკრეტული და დეტალური მოთხოვნები ფასთა შედარების დასაზუსტებლად საჭირო კორექტირებების შესახებ. შესაბამისად, პანელმა აღნიშნა, რომ სამართლიანი შედარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ შესწავლის ორგანოს არ ეკისრება, ექსპორტიორსაც ევალება შესაბამისი მონაწილეობა და დასაბუთებული მოთხოვნის წარდგენა.

თუმცა, პანელმა დაადგინა, რომ ევროკავშირმა დაარღვია ADA-ის 2.2.2(iii) მუხლი, რადგან ევროკომისია არ შეეცადა გამოეთვალა ის მოგება, რომელიც სხვა ექსპორტიორების ან მწარმოებლების მიერ იმავე ზოგად კატეგორიის პროდუქციის შიდა ბაზარზე რეალიზაციით მიიღებოდა. კომისიამ არ მოახდინა საჭირო ინფორმაციის მოძიება და ზღვრული მოგების გათვლა, რაც არის ამ მუხლის პირდაპირი მოთხოვნა. შესაბამისად, პანელმა ევროკავშირის მისცა რეკომენდაცია, შეეცვალა თავისი ანტიდემპინგური ზომები და მოეყვანა ისინი შესაბამისობაში WTO-ს წესებთან იმ ნაწილში, სადაც მოხდა ADA-ის 2.2.2(iii) მუხლის დარღვევა მოგების ზღვრული მაჩვენებლის არასწორი განსაზღვრით.

დამატებით, პანელმა დაადგინა, რომ ევროკავშირმა დაარღვია ADA-ის 6.10 და 9.2 მუხლები, ვინაიდან არ გამოიყენა ინდივიდუალური დემპინგური ზღვრის დადგენის მეთოდოლოგია ყველა იმ ჩინური კომპანიის მიმართ, რომლებმაც სრულად ითანამშრომლეს შესწავლის პროცესში.

დავის საერთო შეფასება და სამართლებრივი მნიშვნელობა

საქმე DS405 — EU — Footwear (China) ცხადყოფს, რომ არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან მიმართებით სუროგატი ქვეყნის შერჩევა და ნორმალური ღირებულების დადგენა წარმოადგენს შესწავლის ორგანოს დისკრეციას, თუ ეს დისკრეცია გამოიყენება ADA-ის ნორმების ფარგლებში.

საქმე ასევე უსვამს ხაზს, რომ ფასთა სამართლიანი შედარების ვალდებულება (Article 2.4) არ ადგენს შესწავლის ორგანოს ცალმხრივ პასუხისმგებლობას. იმისათვის, რომ მსგავსი ვალდებულება რეალიზდეს, ექსპორტიორმა მხარემ თავად უნდა წარადგინოს კონკრეტული, სრულყოფილი და დასაბუთებული კორექტირების მოთხოვნა, რაც შესწავლის ორგანოს საშუალებას მისცემს, გაითვალისწინოს შესაბამისი განსხვავებები შედარებისას.

პანელის გადაწყვეტილებამ დაადასტურა, რომ სუროგატული ქვეყნის მეთოდოლოგიის გამოყენება თავისთავად არ ეწინააღმდეგება WTO-ს სამართალს, თუმცა მისი ავტომატურად არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის ყველა მწარმოებლის მიმართ ერთნაირად გამოყენება, ინდივიდუალური შეფასების გარეშე, არ შეესაბამება ანტიდემპინგური შეთანხმების მოთხოვნებს.

DS471 - United States - Certain Methodologies and their Application to Anti-Dumping Proceedings Involving China

ფაქტობრივი გარემოებები

საქმე DS471 წარმოიშვა ჩინეთის სარჩელით, რომელმაც სადაო გახადა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩინური ექსპორტის მიმართ ანტიდემპინგურ შესწავლაში გამოყენებულ სისტემური პრაქტიკა. აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტმა (USDOC) შეიმუშავა და იყენებდა მეთოდოლოგიას, რომელიც ეფუძნებოდა ჩინეთის ეკონომიკის არასაბაზრო სტატუსს (non-market economy - NME) და მასზე დაყრდნობით უარყოფდა ჩინური მწარმოებლების მიერ მოწოდებულ რეალურ ხარჯებსა და ფასებს. შედეგად, ნორმალური ღირებულება დგინდებოდა ე.წ. სუროგატი ქვეყნის მეთოდოლოგიით, რაც გულისხმობდა ინდოეთის ან სხვა მესამე ქვეყნის ბაზრის მონაცემებზე დაფუძნებულ გამოთვლებს. საქმის განხილვა დაიწყო 2013 წელს, როდესაც ჩინეთმა ოფიციალურად წამოიწყო დავა WTO-ში.

DS471 დავის ფარგლებში ერთ-ერთი განხილვის საგანს, ანტიდემპინგური შეთანხმების მოთხოვნებთან აშშ-ს მიერ ჩინეთთან მიმართებით ნორმალური ღირებულების დადგენის პრაქტიკის შესაბამისობა წარმოადგენდა. აშშ-ში არსებული პრაქტიკის მიხედვით, ჩინეთის არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად აღიარების საფუძველზე, ჩინური მონაცემები წინასწარ არასანდოდ ითვლებოდა და აშშ მათ უგულებელყოფდა განხილვის გარეშე.

მხარეთა პოზიციები:

ჩინეთის პოზიციის მიხედვით, ამერიკული მიდგომა არღვევდა 6.10 მუხლს, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური მიდგომის (ნორმალური ღირებულების გამოთვლის) უფლებას თითოეული ექსპორტიორისთვის. მათი შეფასებით, წინასწარ განსაზღვრული და მექანიკურად გამოყენებული მიდგომა ართმევდა ექსპორტიორებს რეალურ შესაძლებლობას დაეცვათ თავიანთი ინტერესები და წარედგინათ ინდივიდუალური მონაცემები. შედეგად, სუროგატი ქვეყნის ღირებულებების გამოყენება, მათივე შეფასებით, არასამართლიანად ზრდიდა დემპინგის მაჩვენებლებს და არაპროპორციული ტარიფის

დაწესებას იწვევდა. ჩინეთის ამტკიცებდა, რომ აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტი სისტემურად იყენებდა ერთიანი განაკვეთის პრეზუმციას, რომლის თანახმადაც ვარაუდობდა, რომ ჩინელი მწარმოებლები და ექსპორტიორები მოქმედებდნენ ერთიანად სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ. ამგვარი ვარაუდის საფუძველზე USDOC უარს ამბობდა ინდივიდუალური გამოთვლის განხორციელებაზე და ყველა ექსპორტიორისათვის ადგენდა ერთიან დემპინგის მაჩვენებელს, რითაც არღვევდა 6.10 მუხლის ძირითად პრინციპს.

ჩინეთმა ასევე მიუთითა, რომ მსგავსი ერთიანი მიდგომა დისკრიმინაციულია ექსპორტიორების მიმართ, რადგან ექსპორტიორთა ორივე ჯგუფი, რომლებიც თანამშრომლობენ ან არ თანამშრომლობენ, ავტომატურად ექვემდებარებოდნენ ერთსა და იმავე განაკვეთს. ამით აშშ არღვევდა არა მხოლოდ 6.10 მუხლს, არამედ 9.2 მუხლსაც, რომელიც მოითხოვს დემპინგის ზღვრის ინდივიდუალურად დადგენას თითოეული ექსპორტიორისთვის და კრძალავს ერთიანი განაკვეთის თვითნებურ დაწესებას.

აშშ იცავდა იმ მეთოდოლოგიას, რომელიც ეფუძნებოდა ჩინეთის ეკონომიკის სტრუქტურულ თავისებურებებს და NME სტატუსით გამოწვეულ ეკონომიკურ რეალობას. ამერიკული მხარის არგუმენტით, ჩინეთის ეკონომიკა მნიშვნელოვანწილად იმართებოდა სახელმწიფოს მიერ, რის გამოც წარმოებისა და ფასების მექანიზმები არ ასახავდა თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. ამდენად, ჩინეთში წარმოებული პროდუქციის ფასები და ხარჯები მათი წარმომავლობის გამო ავტომატურად ითვლებოდა არასანდოდ.

აშშ ასევე ამტკიცებდა, რომ ინდივიდუალური გამოთვლის უარყოფა არ არღვევს 6.10 და 9.2 მუხლების მოთხოვნებს, როცა შესწავლის მასშტაბი ან ტექნიკური გარემოებები იწვევს ადმინისტრაციულ სირთულეებს და ინდივიდუალური შეფასება რეალურად ვერ ხორციელდება. აშშ მიუთითებდა, რომ მათი მიდგომა NME ქვეყნებთან მიმართებით არ იყო თვითნებური ან დისკრიმინაციული. არამედ, ეს იყო მეთოდოლოგია, რომელიც წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ეკონომიკური ანალიზისა და პრაქტიკის საფუძველზე და ემსახურებოდა დემპინგის რეალური მასშტაბების ეფექტიანად გამოვლენას, ისეთ ეკონომიკურ სისტემებში, რომლებიც არ პასუხობენ საბაზრო პირობებს.

WTO-ს პანელის და სააპელაციო ორგანოს პოზიცია

პანელის და სააპელაციო ორგანოს შეფასებით, აშშ-ის მიერ გამოყენებული ერთიანი განაკვეთის პრეზუმცია და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა არღვევს ანტიდემპინგური შეთანხმების 6.10 და 9.2 მუხლებს, რადგან სისტემურად გამორიცხავს ინდივიდუალური დემპინგის მაჩვენებლის გამოთვლის შესაძლებლობას ყველა იმ ექსპორტიორისთვის, რომელიც თანამშრომლობს შესწავლის პროცესში. ჩინური კომპანიების ინდივიდუალური მონაცემების უარყოფა მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ჩინეთი კლასიფიცირდება არასაბაზრო ეკონომიკის სტატუსის მქონედ (NME), წარმოადგენს დასაშვები დისკრეციის გადამეტებას და ეწინააღმდეგება 6.10 მუხლის მიზანს, უზრუნველყოს თითოეული მწარმოებლის ობიექტური და ინდივიდუალური შეფასება. ამასთან, პანელისა და სააპელაციო ორგანოს შეფასებით, აშშ-ს მიერ ჩინეთისთვის ერთიანი განაკვეთის განსაზღვრა ასევე არღვევდა ანტიდემპინგური შეთანხმების 9.2 მუხლს, რომელიც ავალდებულებს შესწავლის ორგანოს ინდივიდუალურად დაადგინოს დემპინგური განაკვეთი თითოეულ ექსპორტიორისთვის და უზრუნველყოს არადისკრიმინაციული დემპინგის მაჩვენებლის განსაზღვრა.

სააპელაციო ორგანომ სრულად გაიზიარა პანელის ძირითადი დასკვნები და კიდევ უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბა ის სამართლებრივი სტანდარტი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს შესწავლის ორგანომ NME სტატუსის მქონე ქვეყნებთან მიმართებით.

ორგანომ დააზუსტა, რომ ADA-ს 6.10 და 9.2 მუხლები ერთობლივად ავალდებულებს შესწავლის ორგანოს უზრუნველყოს ინდივიდუალური შეფასება ყველა ექსპორტიორისთვის, რომელიც თანამშრომლობს შესწავლის პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ინდივიდუალური გამოთვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. ასევე ინდივიდუალური გამოთვლის სისტემური უარყოფა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური სტატუსის საფუძველზე არღვევს სამართლიანი შესწავლის პრინციპს, რაც არ შეესაბამება WTO-ს სამართლებრივ ჩარჩოს.

დავის შეფასება და სამართლებრივი მნიშვნელობა

განხილული საქმე აყალიბებს სამართლებრივ სტანდარტს WTO-ს წევრი ქვეყნებისათვის: არასაბაზრო ეკონომიკის (NME) სტატუსი არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს ექსპორტიორთა ინდივიდუალური გამოთვლის უფლების შეზღუდვისთვის. სააპელაციო ორგანომ განმარტა, რომ ანტიდემპინგური შეთანხმების 6.10 და 9.2 მუხლები ავალდებულებს შესწავლის ორგანოს ინდივიდუალურად შეაფასოს ყველა თანამშრომლობით განწყობილი ექსპორტიორი, ხოლო ერთიანი განაკვეთის (Single Rate Presumption) გამოყენება არღვევს სამართლიანი და თანასწორი მოპყრობის პრინციპებს. ამგვარად, DS471 ქმნის სამართლებრივ პრეცედენტს, რომელიც ზღუდავს NME ქვეყნების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომების გამოყენებას და ამყარებს მოთხოვნას, რომ თითოეული ექსპორტიორი შეფასდეს ინდივიდუალურად, რაც წარმოადგენს სამართლიანი შესწავლის და პროცესუალური თანასწორობის უზრუნველყოფის აუცილებელ ელემენტს WTO-ს სამართლებრივ ჩარჩოში.

თავი III. ინფორმაციის სანდოობისა და მტკიცებულებების საკმარისობის კრიტერიუმები

ნორმალური ღირებულების დადგენის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, მსგავსი პროდუქტის ღირებულების გამოთვლის მეთოდოლოგიის სწორ შერჩევასთან ერთად, ასევე სანდო მონაცემების გამოყენებისა და შესწავლის სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფაა. ნორმალური ღირებულება ვერ იქნება სრულყოფილი სიზუსტის თუ ის აგებულია არასაკმარის მონაცემებზე, ან თუ პროცესში მონაწილე მხარეებს არ ეძლევათ რეალური საშუალება დაიცვან საკუთარი პოზიცია. სწორედ ამიტომ, WTO-ს პრაქტიკა მუდმივად ამახვილებს ყურადღებას ორ მთავარ კრიტერიუმზე, რამდენად სანდო და საკმარისია წარმოდგენილი მტკიცებულებები და რამდენად სამართლიანად მიმდინარეობს შესწავლის პროცესი.

მოცემულ თავში განხილული საქმეები (DS156, DS219, DS184 და DS295) გვიჩვენებს, როგორ მუშაობს ზემოაღნიშნული პრინციპები პრაქტიკაში. მოცემულ ქვეთავში განხილული იქნება შემდგომი საკითხები: როგორ უნდა შევაფასოთ კომპანიების მიერ წარმოდგენილი მონაცემები, როდის შეიძლება მათი უგულებელყოფა და რატომ არის მონაცემთა ვერიფიკაცია აუცილებელი წინაპირობა მონაცემების ჩანაცვლებამდე, როგორია „სამართლიანი შედარების“ სტანდარტი და რა პირობებში შეიძლება მივმართოთ „ხელმისაწვდომ ფაქტებს“ (facts available). WTO-ს სტანდარტის თანახმად, თუ კომპანია შესწავლის ორგანოს აწვდის რეალურ, ADA-ს შეთანხმებით დადგენილ წესებთან შესაბამის კითხვარებს, შესწავლის ორგანომ მათ უნდა მიანიჭოს პრიორიტეტი. აღნიშნული პრინციპი ეფუძნება ანტიდემპინგური შეთანხმების 6.6 მუხლს, რომელიც ავალდებულებს შესწავლის ორგანოს გადაამოწმოს მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და სანდოობა,

ასევე ეფუძნება 6.2 მუხლს, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა უფლებას შესწავლის პროცესში სრულფასოვან მონაწილეობასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. გარდა ამისა, მუხლები 6.1.2, 6.4 და 6.5 აწესებს გამჭვირვალობისა და კონფიდენციალურობის სტანდარტებს, რათა ყველა მხარეს ჰქონდეს წვდომა რელევანტურ დოკუმენტებზე და დაცული იყოს თანასწორი მონაწილეობა პროცესში. გარე ფასების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა რეალური მონაცემები აშკარად არ არის სანდო ან მიუწვდომელია, რაც ასევე უკავშირდება ADA-ს 5.3 მუხლს, რომელიც ითხოვს შესწავლის ინიცირებამდე წარმოდგენილი მტკიცებულებების საკმარისობას. ანტიდემპინგური შეთანხმების მიხედვით, შესწავლის ორგანოს შეუძლია გამოიყენოს „ხელმისაწვდომი ფაქტები“ მხოლოდ განსაზღვრულ გარემოებებში, რაც დადგენილია 6.8 მუხლით და მასთან დაკავშირებული დანართი II-ით. აღნიშნული დებულებები ადგენს კრიტერიუმებს, რომ ორგანომ უნდა მიუთითოს ზუსტად რა ინფორმაცია ესაჭიროება, მისცეს მხარეს გონივრული ვადა მის მოსაწოდებლად, განიხილოს ყველა ვერიფიცირებადი მონაცემი მანამ, სანამ მიმართავს ალტერნატიულ წყაროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელმისაწვდომი ფაქტების გამოყენება ჩაითვლება არაგონივრულად. მაგალითად, როდესაც დაინტერესებული მხარე არ გასცემს აუცილებელ ინფორმაციას, ვერ აწვდის მას შესწავლის ორგანოს გონივრულ ვადაში, ან არსებითად უშლის ხელს შესწავლის მიმდინარეობას. ასეთ შემთხვევებში, შესწავლის ორგანოს შეუძლია როგორც წინასწარ, ისე საბოლოო გადაწყვეტილებებში საფუძვლად გამოიყენოს ხელმისაწვდომი ფაქტები, თუმცა შესწავლის ორგანო ვალდებულია მკაფიოდ მიუთითოს, ზუსტად რა ინფორმაცია სჭირდება, მისცემს მხარეს გონივრულ ვადას მის მოსაწოდებლად, და ყველა ვერიფიცირებადი ინფორმაცია შეაფასოს და გაითვალისწინოს. ამასთან, ADA-ს 6.10 მუხლი ავალდებულებს შესწავლის ორგანოს ინდივიდუალურად განსაზღვროს დემპინგის ზღვარი ყველა ცნობილი ექსპორტიორისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინდივიდუალური გამოთვლა პრაქტიკულად შეუძლებელია.

DS156 - Guatemala - Definitive Anti-Dumping Measure on Grey Portland Cement from Mexico

ფაქტობრივი გარემოებები და ნორმალური ღირებულების დადგენის მეთოდოლოგია

საქმე ეხებოდა 1997 წელს გვატემალის ხელისუფლების მიერ მექსიკიდან იმპორტირებულ ნაცრისფერ პორტლანდ ცემენტზე ანტიდემპინგური ტარიფების დაწესებას. მექსიკის მთავრობა ამტკიცებდა, რომ ანტიდემპინგური შესწავლა თავიდანვე იყო შეუსაბამო, რადგან საწყის საჩივარს, რომელიც ადგილობრივმა მწარმოებელმა Cementos Progreso-მ შეიტანა, აკლდა მტკიცებულებები დემპინგის არსებობისა და ზიანის დადასტურებისათვის. გარდა ამისა, მექსიკა მიუთითებდა პროცესულურ დარღვევებზეც, მათ შორის ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდებასა და დოკუმენტების დაუსაბუთებლად კონფიდენციალურად გამოცხადებაზე.

მხარეთა პოზიციები

მექსიკა მიიჩნევდა, რომ გვატემალამ ანტიდემპინგური შეთანხმების მოთხოვნები დაარღვია პირველივე ეტაპზე, როდესაც მოხდა შესწავლის ინიცირება. მისი არგუმენტით, საწყის განაცხადს აკლდა ისეთი კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისი იქნებოდა ნორმალური ღირებულების დასადგენად. განაცხადში მოცემული იყო მხოლოდ ზოგადი მოსაზრებები და აღწერითი მონაცემები.

დამატებით, მხარის პოზიციით, ანტიდემპინგური შეთანხმების 2.1 და 2.2 მუხლები მკაფიოდ ადგენს იერარქიას ნორმალური ღირებულების განსაზღვრისას: პირველ რიგში ორგანომ უნდა გამოიყენოს ექსპორტიორ ქვეყანაში არსებულ ბაზარზე

განხორციელებული რეალური გაყიდვების მონაცემები. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მონაცემები არ არის საკმარისი ან ვერ ითვლება სანდოდ, შეიძლება მიმართოს პირობით მეთოდს ან მის ხელთ არსებულ ფაქტებს (ADA 6.8). მექსიკის აზრით, Cruz Azul-მა წარმოადგინა შიდა გაყიდვების მონაცემები, რომელთა სრულყოფილი გამოყენება შესაძლებელი იყო. მათი უგულებელყოფა და ხელმისაწვდომ ფაქტებზე დაყრდნობა იყო არა მხოლოდ არაპროპორციული, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა 6.8 მუხლს და დანართ II-ს, რომლებიც განსაზღვრავს შესწავლის ორგანოს ვალდებულებას გამოიყენოს ხელმისაწვდომი და გადამოწმებადი მონაცემები.

ამასთანავე, მექსიკა მიუთითებდა, რომ გვატემალამ ვერც ვერიფიკაციის სათანადო პროცედურა უზრუნველყო: მან უარი თქვა წარდგენილი ინფორმაციის გადამოწმებაზე და ავტომატურად ჩათვალა იგი არასანდოდ. შედეგად, ნორმალური ღირებულება დადგინდა არა ექსპორტიორი კომპანიის მონაცემების, არამედ არასრული და ჰიპოთეტური ინფორმაციის საფუძველზე.

გვატემალა, თავის მხრივ ამტკიცებდა, რომ საწყისი განაცხადი სრულად აკმაყოფილებდა ანტიდემპინგური შეთანხმების 5.2 და 5.3 მუხლების მოთხოვნებს. ნორმალური ღირებულების განსაზღვრის პროცესში გვატემალამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ Cruz Azul-მა ვერ უზრუნველყო დროულად სრულყოფილი მონაცემების წარმოდგენა, რამაც გამოიწვია ხარვეზები მონაცემთა ვერიფიკაციისას. მისი შეფასებით, როდესაც მხარე არ ასრულებს თანამშრომლობის ვალდებულებას, შესწავლის ორგანოს აქვს უფლება გამოიყენოს ხელმისაწვდომი ინფორმაცია (facts available) ნორმალური ღირებულების დასადგენად. გვატემალა ასევე ამტკიცებდა, რომ მცირე პროცედურული ხარვეზები, მათ შორის დოკუმენტაციის დაგვიანებით გადაცემა, არ აბათილებს ნორმალური ღირებულების დადგენის ძირითად შედეგს, რადგან საბოლოო დასკვნები ემყარებოდა სანდო მტკიცებულებებს. მისი პოზიციით, გადაწყვეტილება წარმოადგენდა „გონივრულ შეფასებას“, რომელიც დაფუძნებული იყო იმ მასალებზე, რაც რეალურად ხელმისაწვდომი აღმოჩნდა.

WTO-ს პანელის პოზიცია

პანელმა დაადგინა, რომ გვატემალამ დაარღვია ანტიდემპინგური შეთანხმების ADA-ს 5.3 მუხლი, იმის გათვალისწინებით, რომ ანტიდემპინგური შესწავლის დაწყების შესახებ განაცხადს არ ახლდა საკმარისი მტკიცებულება დემპინგის, ზიანისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობის დასასაბუთებლად. პანელმა აღნიშნა, რომ ADA-ს 2 მუხლის (დემპინგი) და 3.7 მუხლის (ზიანი) მტკიცებულებითი სტანდარტების გათვალისწინება, ასევე, მნიშვნელოვანია შესწავლის დაწყების ეტაპზე.

პანელმა პროცედურული დარღვევების ნაწილში დაადგინა, რომ გვატემალამ ვერ უზრუნველყო მხარეებისთვის შესწავლის ფარგლებში გამოყენებული ინფორმაციის დროული მიწოდება. ადგილობრივი მწარმოებლის მიერ საჯარო მოსმენაზე წარდგენილი მასალები ექსპორტიორს დაგვიანებით გაეგზავნა, რაც აშკარად არღვევდა, როგორც 6.1.2 მუხლს, ასევე 6.4 მუხლს. ამასთან, პანელმა დაადგინა, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის სტატუსის მინიჭება გარკვეულ დოკუმენტებზე დაუსაბუთებელი იყო, რითაც დაირღვა 6.5 მუხლი.

პანელის განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ნორმალური ღირებულების დადგენის მეთოდოლოგიას. პანელმა დაადგინა, რომ Cruz Azul-ის მიერ წარმოდგენილი მონაცემები მთლიანად არ შეესაბამებოდა მოთხოვნილ სტანდარტებს, თუმცა ამან არ გაამართლა შესწავლის ორგანოს მიერ აღნიშნული ინფორმაციის სრული უგულებელყოფა. ანტიდემპინგური შეთანხმების 6.8 მუხლი და დანართი II ითხოვს, რომ ორგანომ

გამოიყენოს ხელმისაწვდომი ინფორმაცია მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარე არ აწვდის სანდო და საკმარის მონაცემებს. ამ შემთხვევაში, პანელმა მიიჩნია, რომ მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, შესაძლებელი იყო მექსიკელი ექსპორტიორის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ნაწილობრივ გამოყენება.

გარდა ამისა, პანელმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ გვატემალამ ვერ უზრუნველყო წარმოდგენილი ინფორმაციის სათანადო ვერიფიკაცია. შესწავლის ორგანოს, ექსპორტიორი კომპანიების მონაცემების უგულებელყოფაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, მათი სიზუსტე უნდა გადამოწმებინა. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობამ, პანელის დასკვნით, დაარღვია ანტიდემპინგური შეთანხმების 6.6 მუხლი, რომელიც ავალდებულებს ორგანოს დარწმუნდეს მხარეების მიერ მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტესა და სანდოობაში ნორმალური ღირებულების დადგენის პროცესში.

დავის შეფასება და სამართლებრივი მნიშვნელობა

DS156: Guatemala – Cement II მნიშვნელოვან პრეცედენტს წარმოადგენს, იმის გათვალისწინებით, რომ პანელმა მკაფიოდ დაადგინა, როგორ უნდა შეფასდეს ინფორმაციის სანდოობა და მტკიცებულებების საკმარისობა ნორმალური ღირებულების დადგენისას. ერთ-ერთ საკვანძო საკითხს, შესწავლის დაწყებისას საჭირო მტკიცებულებების სტანდარტი წარმოდგენდა. დავის შედეგად დადგინდა, რომ განაცხადი არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ზოგად მოსაზრებებსა და აღწერით მონაცემებს, არამედ უნდა შეიცავდეს საკმარის დეტალურ მტკიცებულებებს, რომლებიც რეალურად ასახავს დემპინგის არსებობას და მის გავლენას ბაზარზე. აღნიშნულმა სტანდარტმა დააწესა უფრო მკაცრი მოთხოვნები ინიცირების ეტაპზე, რათა მომავალში არ მომხდარიყო შესწავლის დაწყება არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე.

ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო პანელის პოზიცია ხელმისაწვდომი ფაქტების გამოყენებასთან დაკავშირებით. პანელმა ცხადად განმარტა, რომ მუხლი 6.8 არ აძლევს ორგანოს უფლებას მთლიანად უგულებელყოს ექსპორტიორის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მასში გარკვეული ხარვეზებია. პირიქით, შესწავლის ორგანოს ვალდებულება შეაფასოს, შესაძლებელია თუ არა ამ მონაცემების ნაწილობრივი გამოყენება და მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართოს ალტერნატიულ წყაროებს, თუ წარმოდგენილი ინფორმაცია არსებითად არასანდოა. ამ მიდგომამ მნიშვნელოვნად განამტკიცა მტკიცებულებების საკმარისობის პრინციპი ნორმალური ღირებულების დადგენისას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სანდო პირველწყარო მონაცემების უგულებელყოფა დაუშვებელია.

DS219 - European Communities — Anti-Dumping Duties on Malleable Cast Iron Tube or Pipe Fittings from Brazil

ფაქტობრივი გარემოებები და ნორმალური ღირებულების დადგენის მეთოდოლოგია

ევროკომისიამ ანტიდემპინგური შესწავლა განახორციელა ბრაზილიური კომპანია Tupy-ს მიერ იმპორტირებულ რკინის მილების ფიტინგებზე. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კომპანია Tupy-ს ევროკავშირის ბაზარზე გაყიდვაში ჰქონდა 1,375 სხვადასხვა ტიპის პროდუქტი. ამასთანავე, მათი უმეტესობა ბრაზილიის შიდა ბაზარზე საერთოდ არ იყიდებოდა ან ძალიან მცირე მოცულობით იყიდებოდა.

ნორმალური ღირებულების განსაზღვრისთვის ევროკავშირმა გამოიყენა WTO-ს ანტიდემპინგის შეთანხმების "5%-იანი მოცულობის ტესტი". შესწავლის ორგანომ ეს ტესტი

ორ ეტაპად გამოიყენა: ჯერ სრული პროდუქცია ერთობლივად შეამოწმა, შემდეგ კი თითოეული პროდუქტის ტიპი ცალ-ცალკე შეისწავლა.

შედეგად, 1,375 დასახელების პროდუქტიდან 809 ტიპზე ნორმალური ღირებულება პირობითი მეთოდით დადგინდა, რაც მოიცავდა წარმოების ხარჯებს, გაყიდვების, ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებს (SG&A) და მოგების ზღვარს. მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ SG&A და მოგების გამოსათვლელად შესწავლის ორგანომ მიმართა დაბალ მოცულობიანი შიდა გაყიდვების (შიდა გაყიდვები <5%) მონაცემებს, რომლებსაც "არაწარმომადგენლობითი" უწოდა ნორმალური ღირებულების დადგენისთვის.

მხარეთა პოზიციები

ბრაზილიის მთავრობამ ევროპის წინააღმდეგ წამოწყებულ დავაში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ლოგიკურ წინააღმდეგობაზე: თუ კომისია კონკრეტული პროდუქტის შიდა გაყიდვებს არასაკმარისად მიიჩნევს ნორმალური ღირებულების დადგენისთვის, რადგან მათ ვერ გადალახეს 5%-იანი ტესტი, იგივე გაყიდვები არ უნდა გახდეს საფუძველი SG&A-ისა და მოგების განსაზღვრისათვის. ბრაზილიის აზრით, დაბალი მოცულობის გაყიდვები ვერ უზრუნველყოფდა ბაზრის რეალური სურათის წარმოდგენას და ასეთი მონაცემების გამოყენება ხელოვნურად ზრდიდა პირობითი ღირებულების დონეს, რაც საბოლოო ჯამში იწვევდა ნორმალური ღირებულებისა და დემპინგის ზღვრის არასწორ განსაზღვრას.

ბრაზილია ასევე მიუთითებდა მნიშვნელოვან პროცედურულ დარღვევებზე, კერძოდ მონაცემთა არასაკმარის გამჟღავნებაზე და ვერიფიკაციის პრობლემებზე. მათი მტკიცებით, ევროკომისიამ არ უზრუნველყო ექსპორტიორი კომპანიისთვის სათანადო დოკუმენტების მიწოდება, შესაბამისად მას არ მიეცა შესაძლებლობა შეემოწმებინა SG&A-ისა და მოგების დათვლის მეთოდი. ამასთანავე, Tupy-მ კომისიას წარუდგინა ზუსტი ინფორმაცია მნიშვნელოვანი კორექტირების შესახებ, ასევე შიდა საგადასახადო კრედიტზე (რომელიც რეალურად ამცირებდა მის ხარჯებს), შიდა და საგარეო ბაზრებისათვის შეფუთვისა და რეკლამის განსხვავებულ ხარჯებზე. თუმცა კომისიამ ეს მონაცემები ან უგულვებელყო, ან ჩაანაცვლა ზოგადი/საშუალო მაჩვენებლებით, რითაც უარი თქვა ექსპორტიორი კომპანიის მიერ წარმოდგენილი ზუსტი სურათის გათვალისწინებაზე.

ევროკავშირის პოზიცია ეფუძნებოდა WTO-ს ანტიდემპინგური შეთანხმების 2.2.2 მუხლის ინტერპრეტაციას. ევროკავშირის მტკიცებით, აღნიშნული მუხლის მიხედვით SG&A და მოგების მონაცემები უნდა ეფუძნებოდეს "ჩვეულებრივ სავაჭრო პირობებში" განხორციელებულ გაყიდვებს და არ არის აუცილებელი გაყიდვების მოცულობის მინიმალური ზღვრის კრიტერიუმის გამოყენება. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიას სრული უფლება ჰქონდა გამოეყენებინა Tupy-ს შიდა გაყიდვების მონაცემები, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოცულობა მცირე იყო. ევროკავშირი ასევე ამტკიცებდა, რომ ყველა საჭირო კორექტირება განახორციელა, ხოლო სადაც Tupy-მ ინფორმაცია მოგვიანებით წარმოადგინა ან მისი სიზუსტე ვერ დადასტურდა, კომისიას ჰქონდა უფლება, სხვა ხელმისაწვდომ მონაცემებს დაყრდნობოდა. მათი განცხადებით ეს პრაქტიკა არ არღვევდა გამჭირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

WTO-ს პანელისა და სააპელაციო ორგანოს პოზიცია

პანელმა დეტალურად შეაფასა საკითხი და დაადგინა, რომ 2.2.2 მუხლი მართლაც არ შეიცავს მოცულობის ბარიერს SG&A ხარჯებისა და მოგების განსაზღვრისთვის. მოცულობის 5%-იანი კრიტერიუმი მხოლოდ 2.2 მუხლშია მითითებული და არ შეიძლება მისი ავტომატურად გავრცელება 2.2.2-ზე. სააპელაციო ორგანომ ამ ნაწილში დაადასტურა პანელის სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო ორგანომ აღნიშნა, რომ ექსპორტიორი

კომპანიის შიდა გაყიდვების მონაცემების გამოყენება შესაძლებელია მაშინაც კი, როცა მათი მოცულობა ძალიან მცირეა, იმ პირობით, რომ ისინი მომგებიანია და განხორციელებულია ჩვეულებრივ სავაჭრო პირობებში.

ამასთანავე, პანელმა მნიშვნელოვანი დარღვევები აღმოაჩინა ევროკომისიის მიერ მონაცემთა ვერიფიკაციასა და ხელმისაწვდომი ფაქტების გამოყენებასთან დაკავშირებით. პანელის დასკვნის მიხედვით, ანტიდემპინგური შესწავლის ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტის გადამოწმება. შესწავლის ორგანომ არ უნდა შეიმუშავოს დასკვნა არასრულ ან დაუზუსტებელ მონაცემებზე დაყრდნობით და არ უნდა მიმართოს ხელმისაწვდომი ფაქტების გამოყენებას იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გამოყენება რეალურად შესაძლებელია. პანელის შეფასებით, კომისიამ Tupy-ს მიერ წარმოდგენილი რამდენიმე ტიპის მონაცემი სათანადოდ ვერ გადაამოწმა, რითაც დაარღვია 6.2 და 6.6 მუხლები.

სააპელაციო ორგანომ ამ ნაწილში დაადასტურა პანელის პოზიცია. სააპელაციო ორგანომ აღნიშნა, რომ „რეალური მონაცემების უგულებელყოფა მხოლოდ ფორმალური ხარვეზის გამო წარმოადგენს მიკერძოებულ და არათანაბარ მოპყრობას“, რაც ეწინააღმდეგება გამჭვირვალობისა და თანასწორობის მოთხოვნებს. შესაბამისად, კომისიამ დაარღვია როგორც ინფორმაციის გადამოწმების ვალდებულება (მუხლი 6.6), ისე მხარის პროცესუალური უფლებები და ეფექტური მონაწილეობის შესაძლებლობა შესწავლაში (მუხლი 6.2).

დავის შეფასება და სამართლებრივი მნიშვნელობა

საქმე DS219 მნიშვნელოვან პრეცედენტად განიხილება WTO-ს ანტიდემპინგურ სამართალში, ვინაიდან იგი წარმოაჩენს, თუ რა კრიტერიუმებით შეიძლება შეფასდეს პირველწყარო მონაცემთა სანდოობა და საკმარისობა ნორმალური ღირებულების დადგენისას. დავის შედეგების მიხედვით გამოიკვეთა, რომ დაუშვებელია კომპანიის მიერ წარმოდგენილი მონაცემების უგულებელყოფა მხოლოდ ფორმალური ან რაოდენობრივი კრიტერიუმების გამოყენებით.

საქმე ამავედროულად ხაზს უსვამს პროცედურულ ვალდებულებებსაც. შესწავლის ორგანო ვალდებულია აქტიურად გადაამოწმოს მიღებული ინფორმაცია, გაამჟღავნოს ყველა არაკონფიდენციალური და რელევანტური ფაქტი და არ გამოიყენოს ხელმისაწვდომი ფაქტები, თუ კომპანიამ წარმოადგინა სანდო მონაცემები. ეს მოთხოვნები არა მხოლოდ იცავს კომპანიების პროცედურულ უფლებებს, არამედ უზრუნველყოფს ანტიდემპინგური ზომების ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.

DS184 - United States — Anti-Dumping Measures on Certain Hot-Rolled Steel Products from Japan

ფაქტობრივი გარემოებები და ნორმალური ღირებულების დადგენის მეთოდოლოგია

საქმე ეხება აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის (USDOC) მიერ იაპონური ცხელი ნაგლინი ფოლადის ექსპორტზე ანტიდემპინგური ტარიფის დაწესებას. საქმეში მონაწილე ძირითადი მწარმოებლები (NSC, NKK, KSC) პროდუქციას ჯერ გადასცემდნენ საკუთარ შვილობილ დისტრიბუტორ კომპანიებს, რომლებიც შემდეგ უკვე ასხვისებდნენ მას დამოუკიდებელ მყიდველებზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, USDOC-მა ნორმალური ღირებულება დაადგინა შვილობილი კომპანიების მიერ დამოუკიდებელ მყიდველზე გაყიდული მსგავსი პროდუქტის ფასის საფუძველზე.

ამასთან ერთად, როცა კომპანიებმა (NSC და NKK) მოგვიანებით წარადგინეს დამატებითი კორექტირებები ფოლადის წონის გამოთვალსთან დაკავშირებით, აშშ-ის შესწავლის ორგანომ ეს მონაცემები არ მიიღო, რადგან დაგვიანებულად მიიჩნია და გამოიყენა მის ხელთ არსებული ინფორმაცია, რამაც მაღალი დემპინგის ზღვრის დადგენა გამოიწვია.

დავის მთავარ საგანს წარმოადგენდა რამდენად კანონიერად მოიქცა აშშ ნორმალური ღირებულების დათვლისას და რამდენად სწორად გამოიყენა კომპანიების მიერ მიწოდებული მტკიცებულებები.

მხარეთა პოზიციები

იაპონიის მთავრობა ამტკიცებდა, რომ აშშ-ის მიერ გამოყენებული არადაკავშირებული მხარისთვის განსაზღვრული კონკურენტული ფასის (arm's length) ტესტი, რომლის საფუძველზეც ნორმალური ღირებულების დადგენისთვის მნიშვნელოვანი მონაცემები მთლიანად გამოირიცხა, არ შეესაბამებოდა ანტიდემპინგური შეთანხმების 2.1 მუხლს. მათი აზრით, შვილობილ კომპანიებზე განხორციელებული გაყიდვების გამოუყენებლობა არღვევდა შეთანხმების არსს და ხელოვნურად ზრდიდა ნორმალურ ღირებულებას. იაპონია ასევე მიუთითებდა, რომ დამოუკიდებელ მყიდველზე არსებული გაყიდვების ფასის გამოყენება, სათანადო კორექტირებების გარეშე, ვერ უზრუნველყოფდა სამართლიან შედარებას ექსპორტის ფასთან. გარდა ამისა, NSC და NKK კომპანიებმა წარმოადგინეს წონის კონვერტაციის ვერიფიცირებადი მידგომები, თუმცა აშშ-მა ისინი უარყო მხოლოდ იმიტომ, რომ მოგვიანებით იქნა მიწოდებული. იაპონიის აზრით, ასეთი მიდგომა არღვევდა ADA-ის 6.8 მუხლსა და დანართ II-ს, რადგან ხელმისაწვდომი ფაქტების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სანდო ინფორმაცია არარსებობის შემთხვევაში.

აშშ-ის პოზიციის მიხედვით, არადაკავშირებული მხარისთვის განსაზღვრული კონკურენტული ფასის (arm's length), ტესტის გამოყენებით ექსპორტიორი კომპანიის გაყიდვების გამორიცხვა და დამოუკიდებელ მყიდველზე განხორციელებული გაყიდვების გამოყენება შეესაბამებოდა 2.1 მუხლის მოთხოვნებს. აშშ ამტკიცებდა, რომ შესწავლის ორგანომ გაითვალისწინა საჭირო კორექტირებები და მხარეების მიერ წარმოდგენილი დამატებითი ქმედებები ზედმეტი იქნებოდა. რაც შეეხება წონის მონაცემებს, აშშ-მა აღნიშნა, რომ ისინი დაგვიანებით იქნა წარდგენილი, ამიტომ შესწავლის ორგანოს ჰქონდა უფლება, გადასულიყო ხელმისაწვდომი ფაქტების გამოყენებაზე.

WTO-ს პანელისა და სააპელაციო ორგანოს პოზიცია

პანელმა და სააპელაციო ორგანომ განსხვავებულად შეაფასეს აღნიშნული დავა. პანელის აზრით, არადაკავშირებული მხარისთვის განსაზღვრული კონკურენტული ფასის (arm's length) ტესტით დადგენილი გაყიდვების სრული გამორიცხვა არ იყო თანხვედრაში 2.1 მუხლთან, რადგან ნორმალური ღირებულების განსაზღვრა სწორედ რეალურ და ტიპურ ბაზრის ტრანზაქციებზე უნდა დაფუძნებულიყო. სააპელაციო ორგანომ კი დააზუსტა, რომ ანტიდემპინგური შეთანხმება პირდაპირ არ კრძალავს საბოლოო მომხმარებელზე არსებული ტრანზაქციების გამოყენებას ნორმალური ღირებულების დასათვლელად. სააპელაციო ორგანოს განმარტებით, 2.1 მუხლი ადგენს მხოლოდ ოთხ ძირითად კრიტერიუმს: პროდუქტი უნდა იყოს მსგავსი, განკუთვნილი უნდა იყოს ექსპორტიორი ქვეყნის ბაზარზე მოხმარებისთვის, ფასი უნდა იყოს შედარებადი და გაყიდვა უნდა განხორციელდეს ჩვეულებრივ სავაჭრო პირობებში. თუ ეს პირობები დაკმაყოფილებულია, მაშინ ნორმალური ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია შვილობილი დისტრიბუტორის ტრანზაქციების საფუძველზეც. თუმცა, სააპელაციო ორგანომ ხაზი

გაუხსნა, რომ ასეთი მიდგომა აუცილებლად მოითხოვს 2.4 მუხლის შესაბამისად ყველა საჭირო კორექტირებას, რათა შედარება იყოს სამართლიანი და ზუსტი.

სათანადო კორექტირების („due allowance“) მნიშვნელობაზე სააპელაციო ორგანომ ხაზი გაუსვა იმას, რომ მონაცემების სისწორისა და სანდოობის უზრუნველყოფა მხოლოდ კომპანიების მოვალეობა არ არის. შესწავლის ორგანოსაც ეკისრება ვალდებულება შექმნას ისეთი პროცედურები, რომ კომპანიებს ჰქონდეთ გონივრული შესაძლებლობა საკუთარი მონაცემების წარდგენისა და დასაბუთებისთვის. ეს ორმხრივი პასუხისმგებლობა აუცილებელია იმისთვის, რომ ნორმალური ღირებულებისა და ექსპორტის ფასის შედარება მოხდეს სამართლიანად და არ დაეფუძნოს არასრულ მონაცემებს.

პანელისა და სააპელაციო ორგანოს შეფასებით, აშშ-მ ზედმეტად ნაადრევად გამოიყენა ხელმისაწვდომი ფაქტების მექანიზმი, რითაც დაარღვია ანტიდემპინგური შეთანხმების 6.8 მუხლი და დანართი II (Annex II). აღნიშნული ნორმების მიხედვით, ხელმისაწვდომი ფაქტების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ნამდვილად მიუწვდომელია ან თავისი შინაარსით არ არის გამოყენებადი. სააპელაციო ორგანომ დააზუსტა, რომ „გონივრული ვადა“ მოქნილი ცნებაა და მისი შეფასება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს: რამდენად დიდი მოცულობისაა ინფორმაცია, რამდენად რთულია მისი დამუშავება და როგორ უნდა დაბალანსდეს მხარეთა ინტერესები. ეს განმარტება ეფუძნება ADA-ის 6.6 მუხლს, რომელიც ავალებს ორგანოს შეამოწმოს და გადაამოწმოს მხარეების მიერ მიწოდებული ინფორმაცია და უზრუნველყოს, რომ მხარეებს მიეცეთ ადეკვატური შესაძლებლობა თანამშრომლობისთვის.

გასათვალისწინებელია, კომპანიის მიერ ინფორმაციის წარდგენის ფორმალური დაგვიანება, არ არის საკმარისი არგუმენტი იმისათვის, რომ შესწავლის ორგანომ მთლიანად გამორიცხოს მისი მონაცემები და ნორმალური ღირებულება ალტერნატიული მონაცემებით დათვალოს. ამ მიდგომის დარღვევა ნიშნავს 6.8 მუხლისა და დანართი II-ის 3–5 პუნქტების დარღვევას, რომლებიც კრძალავს ხელმისაწვდომი ფაქტების გამოყენებას, თუ წარმოდგენილი ინფორმაცია იყო არსებითად სანდო.

დავის შეფასება და სამართლებრივი მნიშვნელობა

საქმე DS184 აჩვენებს, რომ ნორმალური ღირებულების მეთოდოლოგიის არჩევა, იქნება ეს უშუალოდ ექსპორტიორის გაყიდვები თუ შვილობილი კომპანიების ტრანზაქციები, დამოკიდებულია 2.1 მუხლისა და 2.4 მუხლის პირობების შესრულებაზე. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს შესწავლის ორგანოს დისკრეციის შენარჩუნებას, თუმცა ამავდროულად აწესებს სტანდარტებს მტკიცებულებების სანდოობისა და პროცედურული სამართლიანობის დაცვის კუთხით. საქმე ასევე ცხადყოფს, რომ ფასების შედარების სამართლიანობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ცვლილებების განხორციელება წარმოადგენს შესწავლის ორგანოს მოვალეობას.

აღნიშნულ საქმეში მნიშვნელოვან საკითხს ხელმისაწვდომი ინფორმაციის გამოყენების პრინციპი წარმოადგენს. DS184 გვაჩვენებს, რომ აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კომპანიების მონაცემები რეალურად არ არის ხელმისაწვდომი. აშშ-ის მიერ დაგვიანებით წარმოდგენილი სანდო მონაცემების გამორიცხვა ნორმალური ღირებულების დადგენის პროცესიდან, წარმოადგენს შეთანხმების დარღვევას და აჩვენებს, რომ სანდო მონაცემების არსებობის შემთხვევაში დაუშვებელია ხელმისაწვდომი ინფორმაციით მათი ჩანაცვლება.

ფაქტობრივი გარემოებები და ნორმალური ღირებულების დადგენის მეთოდოლოგია

საქმე DS295 წარმოიშვა მექსიკის მიერ აშშ-დან იმპორტირებულ გრძელმარცვლოვან თეთრ ბრინჯზე დაწესებული ანტიდემპინგური ღონისძიებების შედეგად. საქმეში მნიშვნელოვან განსახილველ საკითხს წარმოადგენდა მექსიკის მიერ გამოყენებულ მონაცემთა სანდოობა და ობიექტურობა. განსაკუთრებით პრობლემატური იყო ის, რომ მექსიკის მიერ გამოყენებული შესწავლის პერიოდი, შესწავლის ინიცირების დროისთვის 15 თვის წინ იყო დასრულებული, რაც საბოლოო გადაწყვეტილების შემთხვევაში სამ წლიანი პერიოდისა და მონაცემების მოძველების მანიშნებელია. მექსიკამ მიიღო განმცხადებლის (მექსიკის ბრინჯის ინდუსტრიის) შეთავაზებული მონაცემები, დამოუკიდებელი კორექტირების გარეშე.

შესწავლის პროცესში ნორმალური ღირებულება განისაზღვრა ამერიკული ბრინჯის შიდა ფასების გამოყენებით, მაგრამ მექსიკამ არ დააიდენტიფიცირა ყველა შესაძლო ექსპორტიორი. საჩივარში თავდაპირველად მხოლოდ ორი კომპანია (Producers Rice Mill, Inc. და Riceland Foods, Inc.) იყო დასახელებული, თუმცა მოგვიანებით კიდევ ორი ამერიკული კომპანია (Farmers Rice Milling Co. და The Rice Company) შეუერთდა პროცესს და წარადგინა კითხვარებზე პასუხები. მიუხედავად ამისა, მექსიკამ ნორმალური ღირებულების განსაზღვრა მაინც შეზღუდა ძალიან ვიწრო მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, რაც საბოლოოდ გახდა დავის წარმოშობის საფუძველი.

მხარეთა პოზიციები

მექსიკა ამტკიცებდა, რომ მისი მიდგომა გამართლებული იყო, ვინაიდან არც ერთ დაინტერესებულ მხარეს შესწავლის დროს არ გაუპროტესტებია მომჩივანის მიერ წარდგენილი მონაცემები. ხელისუფლების პოზიციით, მონაცემების არჩევა შემთხვევითი ან მანიპულაციური არ ყოფილა. ნორმალური ღირებულება ეფუძნებოდა იმ შიდა გაყიდვების ფასებს, რომლებიც ექსპორტიორებმა თავად წარადგინეს. შესაბამისად, მექსიკა მიიჩნევდა, რომ ხელმისაწვდომი მონაცემების გამოყენება იყო ერთადერთი პრაქტიკული გამოსავალი.

აშშ ამტკიცებდა, რომ მექსიკამ არასწორად გამოიყენა ADA 6.8 მუხლი და ხელმისაწვდომი ფაქტების მექანიზმი. Producers Rice Mill-ის შემთხვევაში კომპანიამ სრული თანამშრომლობა გამოხატა და კითხვარიც შეავსო, თუმცა იმ პერიოდის განმავლობაში ექსპორტი უზრალოდ არ განუხორციელებია. მიუხედავად ამისა, მექსიკამ მას დემპინგის ზღვარი განუსაზღვრა ხელმისაწვდომი ფაქტების საფუძველზე, თითქოს კომპანიის მხრიდან თანამშრომლობის ნაკლებობას ჰქონდა ადგილი. აშშ მიუთითებდა, რომ ეს წარმოადგენდა ADA 6.8-ის დარღვევას, რადგან ხელმისაწვდომი ფაქტების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა მხარე უარს აცხადებს თანამშრომლობაზე ან არ აწვდის მონაცემებს. გარდა ამისა, all others კატეგორიისათვის მექსიკამ დააწესა ერთიანი 10.18%-იანი ზღვარი რომელიც ეფუძნებოდა მხოლოდ მომჩივნის მონაცემებს. აშშ ამტკიცებდა, რომ ასეთი მიდგომა სრულიად დაუშვებელი იყო, ვინაიდან ამ ექსპორტიორებისთვის არ არსებობდა არცერთი ფაქტობრივი მონაცემი, რომელიც დემპინგის არსებობას ადასტურებდა.

WTO-ს პანელისა და სააპელაციო ორგანოს პოზიცია

პანელმა და სააპელაციო ორგანომ ერთხმად დაადგინეს, რომ მექსიკის მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია ვერ აკმაყოფილებდა ანტიდემპინგური შეთანხმების მოთხოვნებს. Producers Rice Mill-ის შემთხვევაში პანელმა განმარტა, რომ კომპანია,

რომელმაც სრულად ითანამშრომლა და უბრალოდ არ ფლობდა შესაბამისი პერიოდის ექსპორტის მონაცემებს, ვერ ჩაითვლება „არათანამშრომელ მხარედ“. შესაბამისად, მისთვის ხელმისაწვდომი ფაქტების გამოყენება იყო უსაფუძვლო და არღვევდა ADA 6.8 მუხლსა და დანართ II-ის მოთხოვნებს.

ყველა სხვა ექსპორტიორის შემთხვევაში პანელმა და სააპელაციო ორგანომ აღნიშნეს, რომ მექსიკას არ ჰქონდა უფლება, ყველა სხვა ექსპორტიორზე ავტომატურად გაეგრძელებინა 10.18%-იანი ზღვარი მხოლოდ მომჩივნის მონაცემების საფუძველზე. ექსპორტიორები, რომლებიც შესწავლის პროცესში საერთოდ არ იყვნენ იდენტიფიცირებული და კონტაქტში შესული, ვერ ჩაითვლებიან ისეთ მხარეებად, რომლებმაც უარი თქვეს თანამშრომლობაზე. ამგვარად, მექსიკის მიდგომა არღვევდა ADA 6.8 და 6.10 მუხლებს, ასევე დანართი II-ის პუნქტებს 3–5, რომლებიც ზღუდავს ხელმისაწვდომი ფაქტების გამოყენებას მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა მხარე უარს ამბობს თანამშრომლობაზე ან ვერ აწვდის სანდო ინფორმაციას. პანელმა ასევე მიუთითა, რომ მექსიკის მიერ გამოყენებული მონაცემები მოძველებული და არასრული იყო. ექსპორტიორი POI, რომელიც ინიცირების დროს უკვე 15 თვით ძველი იყო, ვერ უზრუნველყოფდა ობიექტურ სურათს დემპინგის ანალიზისთვის. შედეგად შესწავლა ვერ აკმაყოფილებდა ADA-ს 3.1 მუხლით გათვალისწინებულ დადებითი/სარწმუნო მტკიცებულების (positive evidence)-ის მოთხოვნას.

დავის შეფასება და სამართლებრივი მნიშვნელობა

DS295 განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პრეცედენტია „ხელმისაწვდომი ფაქტების“ გამოყენებისა და მტკიცებულებითი სტანდარტების განსაზღვრის თვალსაზრისით. პირველი, საქმე ცხადყოფს, რომ ხელმისაწვდომი ფაქტები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სასჯელი თანამშრომელ კომპანიებზე ან ისეთ ექსპორტიორებზე, რომლებიც საერთოდ არ ყოფილან შესწავლაში ჩართული. ეს მექანიზმი არის „უსაფრთხოების ბადე“, რომელსაც უნდა ჰქონდეს დასაბუთებული საფუძველი, და არა ინსტრუმენტი პროცესის გამარტივებისთვის ან მაღალი მარჟების დაწესებისთვის. მეორე, DS295 ხაზს უსვამს მტკიცებულებების ობიექტურობისა და საკმარისობის მოთხოვნას. შესწავლა, რომელიც ეფუძნება მოძველებულ და არასრულ მონაცემებს, ვერ უზრუნველყოფს ADA-ს სტანდარტების დაცვას. მესამე, საქმე ასწავლის, რომ ყველა სხვა ექსპორტიორის კატეგორიის მარჯის დადგენა უნდა ეფუძნებოდეს რეალურ, ინდივიდუალურ მონაცემებს ან გამჭვირვალე მეთოდოლოგიას და არა მხოლოდ მომჩივნის მიერ მოწოდებულ ცალმხრივ ინფორმაციას.

დასკვნა

ანტიდემპინგური დავების საერთაშორისო პრაქტიკისა და შესაბამისი ორგანოების განმარტებების ანალიზი ქმნის ანტიდემპინგური შესწავლის ფარგლებში ნორმალური ღირებულების დადგენის თანმიმდევრულ ჩარჩოს. განხილული საქმეები ადასტურებს, რომ ნორმალური ღირებულების განსაზღვრის სისწორე და სამართლებრივი სიზუსტე დამოკიდებულია გამოყენებული მეთოდოლოგიის ობიექტურობაზე, გამჭვირვალობაზე და მტკიცებულებათა საკმარისობაზე. ქვემოთ წარმოდგენილი დასკვნები აჯამებს იმ ძირითად სამართლებრივ და პროცესუალურ სტანდარტებს, რომლებიც მნიშვნელოვანია შემდგომი პრაქტიკისთვის.

WTO-ს ანტიდემპინგური დავების განხილვის პრაქტიკამ გამოკვეთა ცენტრალური პრინციპი, რომ ექსპორტიორი კომპანიის რეალური ბუღალტრული ჩანაწერები წარმოადგენს პრიორიტეტულ წყაროს ნორმალური ღირებულების დასადგენად.

განხილულმა საქმეებმა ცხადყო, რომ ბაზარზე სახელმწიფოს ჩარევა თავისთავად არ აძლევს შესწავლის ორგანოს უფლებას, უარი თქვას ექსპორტიორის შიდა მონაცემებზე და მიმართოს ალტერნატიულ მეთოდებს. პირობითი ნორმალური ღირებულების გამოყენება გამართლებულია ისეთ შემთხვევაში, როდესაც შიდა ფასები არ არის ხელმისაწვდომი ან არ ასახავს რეალურად გაწეულ დანახარჯებს. ამასთანავე, პირობითი ნორმალური ღირებულების გამოყენება დაუშვებელია მაშინ, როდესაც იგი ეფუძნება ჰიპოთეტური ან სახელმწიფოს ჩარევისაგან თავისუფალი ბაზრის ვარაუდს, რომელიც არ ასახავს რეალურ ეკონომიკურ გარემოსა და წარმოების ფაქტობრივ პირობებს. შესწავლის ორგანოს ეკისრება ვალდებულება განახორციელოს ინდივიდუალური, ფაქტობრივად და ბუღალტრულად დასაბუთებული შეფასება, ხოლო ალტერნატიული მონაცემები გამოიყენოს მხოლოდ სათანადოდ ადაპტირებული, ობიექტურად დასაბუთებული და გამჭვირვალე ფორმით.

მნიშვნელოვანი იყო პანელის მიერ „ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობის“ (PMS) ტერმინის განმარტება. პანელის შეფასებით, ეს ცნება აქტუალურია მხოლოდ მაშინ, როცა არსებული პირობები ხელს უშლის მსგავსი პროდუქტის შიდა და საექსპორტო ფასებს შორის „სათანადო შედარებას“. პანელმა აღნიშნა, რომ მაშინაც კი, როცა შესწავლის ორგანო ამტკიცებს ბაზრის განსაკუთრებული მდგომარეობის არსებობას (PMS), მას მაინც ევალება შეაფასოს, შესაძლებელი იყო თუ არა შიდა და საექსპორტო ფასებს შორის „სათანადო შედარება“, როგორც ამას ADA-ის 2.2 მოთხოვს.

წევრ ქვეყნებს აქვთ დისკრეცია ნორმალური ღირებულების განსაზღვრის მეთოდის არჩევაში, თუმცა ეს დისკრეცია შეზღუდულია ობიექტურობით. გამოიკვეთა arm's length ტესტის გამოყენების ლეგიტიმურობა დაკავშირებულ კომპანიებს შორის გარიგებების სანდოობის შესაფასებლად, მაგრამ აღინიშნა, რომ მონაცემების უარყოფა უნდა ემყარებოდეს მკაფიო მტკიცებულებებს.

პირობითი ნორმალური ღირებულების დადგენისას, შესწავლის ორგანო ვალდებულია დაეყრდნოს ექსპორტიორის რეალურ, ფაქტობრივ მონაცემებს, რომლებიც ასახავს წარმოებასა და გაყიდვებს ჩვეულებრივ სავაჭრო პირობებში. ADA-ს ნორმატიული ჩანაწერი „actual data pertaining to production and sales in the ordinary course of trade“ წარმოადგენს ერთიან სტანდარტს, რომლის ორივე ელემენტი „ფაქტობრივი მონაცემები“ და „ჩვეულებრივ სავაჭრო პირობებში განხორციელებული გაყიდვები“ უნდა დაკმაყოფილდეს ერთდროულად. ასევე საგულისხმოა, რომ მცირე მოცულობის შიდა გაყიდვებიც შეიძლება ჩაითვალოს სანდო საფუძვლად, თუ ისინი მომგებიანია და ასახავს რეალურ საბაზრო პირობებს.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსი ვერ ამართლებს ყველა ექსპორტიორისთვის ერთიანი ტარიფის დაწესებას და ინდივიდუალური შეფასების უარყოფას. დადგინდა, რომ სუროგატი ქვეყნის მეთოდოლოგიის გამოყენებისას შესწავლის ორგანოს შეუძლია უარი თქვას ისეთ კორექტირებებზე, რომლებიც სუროგატი ბაზრის ფასებს ექსპორტიორი ქვეყნის დამახინჯებულ ფასებთან აკავშირებს, თუ აღნიშნული უარი სათანადოდ არის დასაბუთებული და არ არღვევს სამართლიანი შედარების პრინციპს. ამასთან, არასაბაზრო ეკონომიკის სტატუსი თავისთავად ვერ წარმოადგენს საკმარის საფუძველს ინდივიდუალური მწარმოებლების მონაცემების უგულებელყოფისთვის, შესწავლის ორგანოს ეკისრება ვალდებულება განახორციელოს თითოეული კომპანიის ჩანაწერების ინდივიდუალური შეფასება და უზრუნველყოს, რომ თანამშრომლობით განწყობილი ექსპორტიორები არ ექვემდებარებოდნენ ერთიან, ზოგად დემპინგურ განაკვეთს.

ხელმისაწვდომი ფაქტების გამოყენებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა სტანდარტი: მათი გამოყენება დასაშვებია მაშინ, როცა მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაცია

არსებითად არასანდოა, ხოლო ხარვეზიანი, მაგრამ ნაწილობრივ სარწმუნო მონაცემების სრული უგულებელყოფა არღვევს სამართლიანი შესწავლის პრინციპს. ხელმისაწვდომი ფაქტები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სასჯელი თანამშრომელ კომპანიებზე ან ისეთ ექსპორტიორებზე, რომლებიც საერთოდ არ ყოფილან შესწავლაში ჩართული. ეს მექანიზმი არის „უსაფრთხოების ბადე“, რომელსაც უნდა ჰქონდეს დასაბუთებული საფუძველი და არა ინსტრუმენტი პროცესის გამარტივებისთვის ან მაღალი მარჟების დაწესებისთვის. ასევე ხაზგასასმელია, რომ ყველა სხვა ექსპორტიორის მარჟის დადგენა უნდა ეფუძნებოდეს რეალურ, ინდივიდუალურ მონაცემებს ან გამჭვირვალე მეთოდოლოგიას და არა მხოლოდ მომჩივნის მიერ მოწოდებულ ცალმხრივ ინფორმაციას.

პრაქტიკამ ასევე დაადგინა, რომ ნორმალური ღირებულების განსაზღვრისას დაშვებულია, როგორც უშუალოდ ექსპორტიორის, ისე შვილობილი დისტრიბუტორის ტრანზაქციების გამოყენება, თუ ეს ხდება ჩვეულებრივ სავაჭრო პირობებში და განხორციელებულია სათანადო კორექტირებები სამართლიანი შედარების უზრუნველსაყოფად. სანდო, მაგრამ დაგვიანებით წარმოდგენილი მონაცემების გამორიცხვა შეფასდა როგორც პროცედურული სამართლიანობის დარღვევა, რაც არღვევს მხარეთა თანამშრომლობის შესაძლებლობასა და ადეკვატურ მონაწილეობას შესწავლის პროცესში.

განხილული საქმეების საფუძველზე ჩამოყალიბდა მტკიცებულებათა სანდოობისა და საკმარისობის სტანდარტი ანტიდემპინგური შესწავლის ინიცირებისა და ნორმალური ღირებულების დადგენისას. შესწავლის დაწყება დაუშვებელია ზოგად ან არასრულ მონაცემებზე დაყრდნობით, ხოლო ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის დროული მიწოდება, ვერიფიკაცია და კონფიდენციალური სტატუსის სათანადო დასაბუთება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ WTO-ს პრაქტიკა ამყარებს ობიექტური, დასაბუთებული და გამჭვირვალე ანტიდემპინგური შესწავლის სტანდარტებს, რომლებიც ხაზს უსვამენ რეალურ და სანდო მონაცემებზე დაყრდნობის აუცილებლობას, ინდივიდუალური შეფასების ვალდებულებას და ალტერნატიული ინფორმაციის გამოყენების გარკვეულ შეზღუდვას.